tsu.media ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან tsu.media

თბილისის უნივერსიტეტი

1 მარტი, 2023 ოთხშაბათი, №1 (2243)

თსუ-ს სტუდენტებისთვის საცხოვრებლის მშენებლობა იწყება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა იწყება. 350 სტუდენტზე გათვლილი საერთო საცხოვრებელი მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე განთავსდება და სრულად დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

სამშენებლო სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე ჩატარდება შენობის პროექტირება და გამაგრებითი სამუშაოები, ხოლო მეორე ეტაპზე მთლიანი შენობის რეაბილიტაცია.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე მოეწყობა სტუდენტური სივრცეები, სპორტული მოედნები. შენობა აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, რომელიც მორგებული იქნება სტუდენტების საჭიროებებზე.

„სტუდენტური საცხოვრებელი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომლის განხორციელებას უნივერსიტეტი უკვე იწყებს. ახალი საცხოვრებელი მაქსიმალურად დააკმაყოფილებს სტუდენტების საჭიროებებს და სათანადო პირობებს შეუქმნის მათ. საცხოვრებელი მოეწყობა თანამედროვე ინფრასტრუქტურით და შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან. შენობის გარეთ ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და მოეწყობა გარე სივრცეები“, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობის დასრულება 2024 წლისთვის იგეგმება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ნომერში

■ ხორვატიის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრის ვიზიტი თსუ-ში გვ. 2

■ მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშემწყობი პროექტის კონკურსში თსუ-მ გაიმარჯვა გვ. 3

■ თსუ საუნივერსიტეტო ჰიმნის შექმნისთვის საჯარო კონკურსს აცხადებს გვ. 3

კონკურსი ჰიმნის შექმნისთვის გამოცხადდა 24 თებერვალს და 2 თვის განმავლობაში — 24 აპრილამდე გაგრძელდება. დამატებითი საკონკურსო პირობები გამოცხადდება 7 მარტს, ხოლო განაცხადები მიიღება **10 აპრილიდან 24 აპრილის ჩათვლით.**

▶ რუსთველური მხატვრული სახის ახალი ნიუანსი შექსპირის დრამატურგიაში

▶ ნანა კაჭარავას თარგმნილი წიგნი „ჯვარცმული აფხაზეთი“ თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს დაურიგდებათ გვ. 4

■ რექტორის ბრძანება, რომელიც ბევრ სტუდენტს გაუადვილებს უცხოეთში დასაქმების პროგრამაში ჩართვას გვ. 5

გვ. 7-10 თსუ-105



■ სიცოცხლე, რომელიც გარდაცვალების შემდეგაც გრძელდება გვ. 14

სიახლე

■ მასშტაბური პროექტი თსუ-სა და გრაცის უნივერსიტეტის ჩართულობით გვ. 6

■ გიორგი კალანდიას „ქართული მოდის ისტორია“ — პრეზენტაცია თსუ-ში გვ. 12

■ ალმაატისა და ზაგრების უნივერსიტეტებთან სტომატოლოგიაში ახალი გაცვლითი პროგრამები იგეგმება გვ. 13

■ ახალი წიგნი სტომატოლოგიაში გვ. 13

ხორვატიის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრის ვიზიტი თსუ-ში

ხორვატიის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრმა გორდან გრლიჩ რადმანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა. მინისტრმა სტუდენტებს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით ხორვატიის გამოცდილება გაუზიარა და საქართველოს ამ კუთხით სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ლექციის დასრულების შემდეგ მინისტრმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

საჯარო ლექციას თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია, ხორვატიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბრანკო ზებიჩი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ღონისძიებას მოდერაციას თსუ-ს პროფესორი, საერთაშორისო სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი ირინე ქურდაძე უწევდა.

თსუ-ს რექტორის ჯაბა სამუშიას თქმით, ხორვატიის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრთან ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა. „გორდან გრლიჩ რადმანმა იმ გზაზე ისაუბრა, რაც ხორვატიამ ევროინტეგრაციის თვალსაზრისით გაიარა. შეხვედრის ბოლოს კი მინისტრმა სტუდენტების ძალიან საინტერესო შეკითხვებს უპასუხა“, — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

ხორვატიის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრი გორდან გრლიჩ რადმანი საქართველოს, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს ფარგლებში, 8 თებერვალს ეწვია.

თსუ-ში ვიზიტისას გორდან გრლიჩ რადმანმა აღნიშნა, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს და, შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი სტუმრობს. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა ძალიან შთამბეჭდავი იყო. მათი კითხვებიდან დავინახე, რომ საფუძვლიანად ერკვევიან საერთაშორისო საკითხებში, იციან როგორი უნდა იყოს მათი ქვეყნის უკეთესი მომავალი — კონფლიქტისა და ომის გარეშე. მათ სურთ იყვნენ ევროპული გაერთიანების სრულფასოვანი წევრი“, — განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, ხორვატია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და სრულ მხარდაჭერას უცხადებს ქვეყნის ევროპულ მომავალს.

„ხორვატია არის საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი მხარდამჭერი ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრთან შეხვედრა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. სტუდენტებმა არაერთი შეკითხვა დავსვით პოლიტიკური, სამართლებრივი, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური სფეროების გარშემო და მივიღეთ ამომწურავი პასუხები“, — აღნიშნა თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტმა ნიკა კრაწაშვილმა. მისივე თქმით, ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს როგორც ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე, საქართველოს წინსვლას ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

ხორვატიის რესპუბლიკის საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში 11 თებერვლამდე გაგრძელდა. გორდან გრლიჩ რადმანი სხვადასხვა დროს იყო ხორვატიის რესპუბლიკის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და უნგრეთში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 300-მდე პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს 56 ქვეყანაში, მათ შორის, ხორვატიის (ზაგრების, რიეკას და ზადარის) უნივერსიტეტები. თსუ-ში 24 უცხოენოვანი პროგრამა მოქმედებს, მათ შორის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე არაერთი პროგრამა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს საერთაშორისო სტუდენტები მსოფლიოს 52 ქვეყნიდან.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჯაბა სამუშიამ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ალი ქაან ორბაის უმასპინძლა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ალი ქაან ორბაის უმასპინძლა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე თსუ-სა და თურქეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტებს შორის მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. შეხვედრას თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა ესწრებოდა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და თურქეთის თერთმეტ უნივერსიტეტს შორის შეხვედრა დაიგეგმა, რომელიც 2023 წლის გაზაფხულზე თურქეთში გაიმართება. შეხვედრის ფარგლებში კონკრეტული სამუშაო გეგმა შემუშავდება, რაც ქართულ და თურქულ უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო, სასწავლო, კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

თსუ-ს რექტორი საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში ჰადას მეიცადისთან გაცნობითი შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე თსუ-სა და ისრაელის სახელმწიფოს საგანმანათლებლო კავშირების განვითარებაზე, ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების და მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

ისრაელის სახელმწიფოს ელჩი უახლოეს მომავალში თსუ-ს სტუდენტებისთვის საჯარო ლექციის გამართვას გეგმავს. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ებრაისტიკის მიმართულების გაძლიერებაში დახმარება აღუთქვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ებრაისტიკა-არამეისტიკის მიმართულება 1944 წლიდან არსებობს. თსუ-ში ასევე ფუნქციონირებს „ისრაელის ცენტრი“, რომელიც აქტიურადაა დაკავებული ქართულ-ებრაული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებით.

ღონისძიებას თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი თეა გერგედავა ესწრებოდა.

თსუ საუნივერსიტეტო ჰიმნის შექმნისთვის საჯარო კონკურსს აცხადებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს საკუთარი ჰიმნი ექნება. საუნივერსიტეტო ჰიმნის შექმნაზე კონკურსის თაობაზე თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სტუდენტებთან, პროფესორებთან, შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

გამარჯვებული ნაწარმოების ავტორს გამოავლენს დარგის პროფესიონალებითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონკურსო კომისია. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველას, გარდა საკონკურსო კომისიის წევრისა ან მასთან ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირისა.

მნიშვნელოვანია, რომ მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი იყოს საუნივერსიტეტო თემატიკაზე და არ აღემატებოდეს ორ სტროფს. არ უნდა შეიცავდეს მოწოდებას დისკრიმინაციისა და ძალადობისკენ, ასევე, სარეკლამო ნიშნებს.

მუსიკალური კომპოზიციის ხანგრძლივობა უნდა იყოს 1-1.5 წუთი, სასურველია მელოდიური, მაჟორული, შერეული გუნდისთვის (შესაძლოა ინსტრუმენტის თანხლებით) და უნდა შეესაბამებოდეს ასეთი კატეგორიის ნაწარმოებისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებს. მუსიკალური ნაწარმოების ორივე კომპონენტი (მუსიკაც და ტექსტიც) უნდა იყოს უნიკალური, კონკრეტულად აღნიშნული კონკურსისათვის შექმნილი.

კონკურსი გამოცხადდა 24 თებერვალს და 2 თვის განმავლობაში — 24 აპრილამდე გაგრძელდება. დამატებითი საკონკურსო პირობები გამოცხადდება 7 მარტს, ხოლო განაცხადები მიიღება **10 აპრილიდან 24 აპრილის ჩათვლით.**

კონკურსში გამარჯვებულისათვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

კონკურსში გამარჯვებული მუსიკალური ნაწარმოები ჩაიწერება სტუდიაში, ასევე შეიქმნება ვიდეო რგოლი.

მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშემწყობი პროექტის კონკურსში თსუ-მ გაიმარჯვა

მაია ტორაძე

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოებამ პროფესორ მაია ივანიძის ხელმძღვანელობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა. „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის“ – ასე ჰქვია პროექტს, რომლის გახსნითი ღონისძიებაც 21 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა.

პროექტი პროფესორ მაია ივანიძისა და იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტების მიერ დაიწერა და მის განხორციელებაში საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტების პირველი-მეორე კურსის სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ.

პროექტი თავისი ხასიათით მასშტაბურია. მასში ჩართულნი არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და ფართო საზოგადოება, რადგან დღეს სამართლებრივი უსაფრთხოების საკითხი პრიორიტეტულია. პროექტი დაფინანსებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ.

პროექტის ხელმძღვანელის, პროფესორ მაია ივანიძის თქმით, იანვრის თვეში მოხდა მასში მონაწილე სტუდენტთა პირველადი შერჩევა და 100 მსურველიდან 30 სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა – მეორე ეტაპზე – ტრენერების ტრენინგზე გადასულიყო. „22 თებერვლიდან, დაიწყება შერჩეული სტუდენტების დატრენინგება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „არასრულწლოვანი და პოლიცია“, „ბავშვთა უფლებები“, „ადამიანის უფლებები“, „ბავშვთა ბულინგი სკოლაში“, „არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი“, ასევე „თავისუფლება და თავისუფლებიდან გაქცევა“, რომელსაც ფსიქოლოგი წაიკითხავს და ა.შ. კვირის ბოლოს გამოვლინდება 8 წარმატებული სტუდენტი, რომელიც, საქართველოს მასშტაბით, თბილისში, გორში, ლაგოდეხსა და ბათუმში ჩაატარებენ ტრენინგებს სკოლის მოსწავლეებთან“, – გვითხრა მაია ივანიძემ.

პროექტის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი თამარ ზარანდია, პროექტში შერჩეული სტუდენტები, საჯარო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დაინტერესებული საზოგადოება.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თორნიკე ჭეიშვილმა ღონისძიებაზე მადლობა გადაუხადა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტს, თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოებას, დოქტორანტებს, სტუდენტებს და განაცხადა, რომ პროექტი, რომელმაც იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, კონკრეტულ შედეგებზე გადის და ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი: „მოხარული ვარ, რომ საგრანტო კონკურსში ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტი კონკრეტულ შედეგებზე გადის – პროექტის ფარგლებში შერჩეული სტუდენტები ცოდნას და კვალიფიკაციას გადასცემენ თავიანთზე ცოტა უმცროს თაობას. ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი აქტივობა, ვინაიდან სკოლებში დღეს, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო განათლება ისწავლება, არ იქნება ზედმეტი – შევიდეს დამატებითი ცოდნა და ინფორმაცია სამართლებრივი უსაფრთხოების, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების, კონსტიტუციური სამართლისა თუ სხვა საინტერესო საკითხების შესახებ. ჩვენ ვრჩებით ამ პროექტის გულშემატკივრად თითოეულ ეტაპზე და მოუთმენლად ველით დროს, როცა ეს შეხვედრები სკოლებში გადაინაცვლებს. ვიცი, რომ მასში ჩართულია რეგიონები და მიმაჩნია, რომ მათი მონაწილეობა პროექტს მეტ მნიშვნელობას სძენს“, – განაცხადა თორნიკე ჭეიშვილმა.

მაია ივანიძე და თორნიკე ჭეიშვილი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა თამარ ზარანდიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს პროექტი, რომელიც საკმაოდ მასშტაბურია, დიდ წვლილს შეიტანს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებაში: „ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ სამართალი არ არის მხოლოდ კანონშემოქმედების პროდუქტი, ის ასევე არის იურიდიული განათლების პროდუქტი და ამდენად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. მადლობა იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოებას პროექტის განხორციელების საშუალება მისცა“, – თქვა მან.

პროექტის მონაწილე სტუდენტები უკვე მზად არიან ტრენინგისთვის, რომელიც მათ ერთი კვირის განმავლობაში ჩაუტარდებათ და იმედოვნებენ, რომ საუკეთესო რვაში სწორედ ისინი მოხვდებიან და მიღებულ ცოდნას მოსწავლეებს გაუზიარებენ. ამ განწყობით ერთვებიან პროექტის მეორე ეტაპზე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ევა გვანცელაძე და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ზაზა სურგულაძე, რომელიც ამბობს, რომ პირველი ეტაპის გადალახვამ მოტივაცია გაუძლიერა: „დიდი მოტივაციით ვერთვები ტრენინგში, მინდა, ერთ-ერთი ვიყო იმ სტუდენტთა შორის, რომელიც მომავალ თაობას მისცემს იურიდიულ განათლებას და დაეხმარება მათ სწორი აზროვნების ჩამოყალიბებასა და იმ ცოდნის სრულყოფაში, რაც მათ უკეთეს მოქალაქეებად აქცევს“, – გვითხრა ზაზა სურგულაძემ.

პროექტის კიდევ ერთ საინტერესო მხარეზე ისაუბრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თემო დარბაიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეებთან შეხვედრები მათ საკუთარი მომავლის დაგეგმვაში დაეხმარება: „მოსწავლეობისას ხშირად არ მქონია შესაძლებლობა – ვინმეს იმ ტიპის ინფორმაცია მოეწოდებინა, რასაც პროექტი ითვალისწინებს. ეს რომ მცოდნოდა, უფრო ზუსტად განვსაზღვრავდი მომავალს და დავგეგმავდი – როგორ გამეგრძელებინა კარიერა. იმ ბავშვებს, რომლებსაც იურიდიული განათლების მიღების სურვილი აქვთ, ეს ტრენინგები განუმტკიცებს გადაწყვეტილებას, ხოლო ზოგადად სამოქალაქო განათლების მიღება დაეხმარება მომავალ თაობას – სწორად იცხოვრონ“, – გვითხრა თემო დარბაიძემ.

22 თებერვლიდან ინტენსიური ტრენინგები იწყება. სულ მალე გვეცოდინება ის 8 საუკეთესო მსმენელი, რომელიც საჯარო სკოლის მოსწავლეებს სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარების სხვადასხვა ასპექტს გააცნობს.

თემო დარბაიძე: ამდენი ცოდნა რომ მქონოდა სკოლაში, უფრო ზუსტად განვსაზღვრავდი მომავალს და დავგეგმავდი – როგორ გამეგრძელებინა კარიერა

ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ „ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ 28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔᲛ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲐ. ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲬᲧᲐᲠᲝᲓ. ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲜᲔᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲘᲡ ᲐᲚᲣᲖᲘᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ.

ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ: „ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲔᲡᲐᲨᲘ „ᲪᲘᲛᲑᲔᲚᲘᲜᲘ“ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲐ �გᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲖᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲞᲘᲔᲡᲐᲨᲘ �გᲐᲓᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲣᲠᲘ ᲔᲞᲘᲖᲝᲓᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲣᲠᲘᲡᲞᲠᲣᲓᲔᲜᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲕᲮᲕᲓᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘᲐ ᲜᲔᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲥᲐᲯᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ ᲢᲐᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘ ᲜᲐᲦᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲚᲐᲜᲘ: „ᲢᲐᲜᲘ ᲙᲐᲚᲛᲐᲓ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲙᲐᲚᲐᲛᲘ ᲜᲐᲦᲕᲔᲚᲡᲐ ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲑᲘ“.

ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ „ᲪᲘᲛᲑᲔᲚᲘᲜᲨᲘ“, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲨᲘ“, ᲜᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲨᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲠᲤᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲜᲐᲦᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲚᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ. ᲜᲐᲦᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲚᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲜᲡ ᲞᲘᲔᲡᲐᲨᲘ „ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲦᲐᲛᲔ“ (ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ 1601-1602 ᲬᲬ.)“.

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ „ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ ᲦᲐᲛᲔᲨᲘ“, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲔᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ, ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲚᲐᲛᲖᲔᲪ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲝᲡ, ᲠᲐᲪ ᲐᲚᲣᲖᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲡᲗᲐᲜ: „ᲢᲐᲜᲘ ᲙᲐᲚᲛᲐᲓ ᲛᲐᲥᲕᲡ“.

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ, „ᲕᲔᲤᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲐᲛᲓᲔ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲨᲘ �გᲐ�გᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲘ ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲨᲔᲠᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ. ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲨᲔᲠᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲚ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚ ᲒᲠᲐᲤᲔᲑᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲙᲐᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲓᲐᲡᲗᲐᲜ.

* * *

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ „ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘ XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ“ თსუ-ს ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲠᲘ�გᲘᲗ VI ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲔᲑᲛᲐᲪ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔᲡ: ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ – „ᲛᲘᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲨᲘ“; ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲙᲕᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘᲐ – „ᲑᲔᲡᲘᲙ ᲮᲐᲠᲐᲜᲐᲣᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲐᲡ�პᲔᲥᲢᲔᲑᲘ 70-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ“; ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔ – „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ“; ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲠᲛᲐ ᲛᲐᲙᲐᲠᲐᲫᲔ - „ᲕᲐᲠᲚᲐᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲐᲡᲐᲤᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ“; ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲮᲘᲜᲗᲘᲑᲘᲫᲔ – „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲘ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ“; ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲬᲝᲬᲝᲜᲐᲕᲐ – „ᲛᲒᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ ᲘᲑᲔᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲘᲗᲝᲡᲨᲘ“.

ᲜᲐᲜᲐ ᲯᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲡ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ „ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ“ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲯᲣᲚᲘᲐ

ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ �თურქოლოგიის ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲛ �თურქულად ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ ᲚᲝᲠᲘᲙ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ – „ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲣᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ“. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲚᲝᲠᲘᲙ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐᲡ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲓᲐᲘᲬᲔᲠᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ �გᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 2010 ᲬᲔᲚᲡ.

„ᲚᲝᲠᲘᲙ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲬᲔᲑᲔᲚᲓᲔᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲨᲗᲐᲛᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ ᲓᲐᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲜᲐ. ᲬᲘ�გᲜᲘ ᲛᲐᲜ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡ ᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲖᲔᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ – ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲛᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲔᲨᲠᲝᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲛᲝᲗᲐᲜᲘᲚᲘᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲗᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲜᲐᲘᲠᲐᲓ – „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ“, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲚᲐᲢᲐᲫᲔᲛ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐ ᲘᲮᲛᲝ.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲚᲩᲛᲐ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲠᲞᲚᲐᲢᲐᲫᲔ ᲛᲗᲮᲝᲕᲐ ᲛᲘᲛᲔᲦᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲘ ᲛᲐᲗ ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲝᲑᲐᲨᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲘᲘᲡ �გᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲘᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲜᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲕᲚᲘᲗ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲘᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲕᲚᲘᲗ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ 2015 ᲬᲔᲚᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲒᲐᲛᲐᲮᲐᲠᲘᲐ, ᲚᲝᲠᲘᲙ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ – ᲐᲓᲐ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲠᲘᲒᲓᲔᲑᲐᲗ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ, ᲠᲘ�გᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲔᲜᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ �გᲐᲮᲚᲓᲐᲗ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲣᲮᲚᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

2022 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲚᲝᲠᲘᲙ ᲛᲐᲠᲨᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲔᲡᲐᲓᲐᲒᲐ ᲩᲔᲛ

ჯაბა სამუშიამ თურქეთში მომხდარ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ელჩს პირადად მიუსამძიმრა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ თურქეთში მომხდარ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან ელჩს ალი ქაან ორბაის პირადად მიუსამძიმრა და საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვა.

როგორც ჯაბა სამუშიამ აღნიშნა, თურქეთში დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით შეგროვდა ჰუმანიტარული დახმარება.

„ეს არის უდიდესი ადამიანური ტრაგედია არა მხოლოდ თურქეთისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულია ათასობით ადამიანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ვუსამძიმრებ თურქ ხალხს. ჩვენი აქცია ითვალისწინებს მათ მხარდაჭერას, გვინდა, შეგროვებული პირველადი ნივთები თურქეთში გაიგზავნოს", — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

რექტორის ბრძანება, რომელიც ბევრ სტუდენტს გაუადვილებს უცხოეთში დასაქმების პროგრამაში ჩართვას

მაია ტორაძე

25 იანვარს გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ჯაბა სამუშიას ბრძანება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ", რომლითაც ცვლილებები შევიდა რექტორის 2022 წლის 4 აგვისტოს N230/01-01 ბრძანებაში.

ცვლილების მიხედვით, უცხო ქვეყანაში საზაფხულო დასაქმების პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი გამოცდები ნაცვლად 21 – 27 ივლისისა, დაენიშნათ 15-17 სექტემბრის პერიოდში (ამ შემთხვევაში, სტუდენტის არდადეგების პერიოდად განისაზღვრება 16 ივლისი – 14 სექტემბერი).

ამ ბრძანებით მოგვარდა არაერთი სტუდენტის პრობლემა, რაც საზაფხულო სტუდენტური სამუშაოებისთვის უცხოეთში გამგზავრებისას იქმნებოდა. კერძოდ მათ შეექმნათ გამოცდებისგან თავისუფალი ორთვიანი პერიოდი, რაც საჭირო და საკმარისია საზაფხულო სტუდენტური დასაქმებისთვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის, ლაშა საღინაძის თქმით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით, რადგან უცხოეთში დასაქმების პროგრამაში ჩართული სტუდენტების მხრიდან ხშირი იყო თხოვნა დამატებითი გამოცდების გადატანის თაობაზე. „ამ სტუდენტებს საჭირო დოკუმენტაციის შესავსებად სჭირდებათ ცნობა, თუ როდის აქვთ არდადეგების პერიოდი. ჩვენთან არდადეგები, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტით, განსაზღვრული იყო 28 ივლისიდან 17 სექტემბრამდე პერიოდში – ათვლა იწყებოდა დამატებითი გამოცდების დასრულების შემდეგ. ამიტომ სტუდენტები ითხოვდნენ, რომ არდადეგების დაწყება ძირითადი გამოცდების დასრულების შემდგომ ყოფილიყო შესაძლებელი, რაც მათ საშუალებას მისცემდა, უფრო ხანგრძლივი ვადით ყოფილიყვნენ დასაქმებული უცხოეთში. საკითხი განვიხილეთ ფაკულტეტების დეკანებთან, მოსაზრებები შევაჯერეთ რექტორთან და მისი ბრძანებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ აქტში შევიდა ცვლილება. ამდენად, დადგინდა არდადეგების განსხვავებული პერიოდი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც განცხადებით მომართავენ თსუ-ს ადმინისტრაციას, რომ ისინი გეგმავენ უცხოეთში დასაქმების პროგრამაში ჩართვას. მათთვის არდადეგების პერიოდი განისაზღვრება 16 ივლისიდან (ნაცვლად 28 ივლისისა) 14 სექტემბრამდე (ნაცვლად 17 სექტემბრისა). ამ ცვლილებით სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, დამატებითი გამოცდა ჩააბაროს არა ივლისში, არამედ 15-დან 17 სექტემბრის პერიოდში. ვფიქრობ, ეს გადაწყვეტილება მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია", – გვითხრა ლაშა საღინაძემ.

ლაშა საღინაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებების მეორე კურსის სტუდენტის ნათია სირაძის თქმით, ვადა, რომელიც ამ ბრძანებით განისაზღვრა, საშუალებას მისცემს დასაქმების მსურველს – იმუშაოს და გარკვეული ფინანსური მოგებაც მიიღოს: „სახელმწიფოში არსებული მძიმე ეკონომიკური ფონი ყველაზე მტკივნეულად სწორედ სტუდენტებზე აისახება, ქართული საბაზრო სისტემა ნაკლებად ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს და ეს შეუთავსებლობა ხშირად დილემის წინაშეც კი გვაყენებს. ამის შედეგია უამრავი სტატუსშეჩერებული სტუდენტი ან დაბალი აკადემიური მოსწრება, რომელიც ბუნებრივად მოსდევს დამღლელ, სრულგანაკვეთიან სამუშაო საათებს. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ლექციაზე ძილმორეული, შრომისაგან დაღლილი სტუდენტი, რომელიც ამაოდ ცდილობს – სრულფასოვნად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ეს მოცემულობა ნერგავს უთანასწორობას და სწავლისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას. ამ ფონზე სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში, საუკეთესო გზაა, რათა გამოიმუშაო საკმაოდ სოლიდური თანხა ისე, რომ ეს ნეგატიურად არ აისახოს სასწავლო შედეგებზე. ცოტა ხნის წინ ჩემს თანაკურსელებთან ერთად გადავწყვიტე 2023 წლის საზაფხულო პერიოდი გერმანიაში ერთ-ერთ პოზიციაზე მემუშავა. ეს პროცესი საკმაოდ რთულ ბიუროკრატიულ თუ ფინანსურ საკითხებს უკავშირდება, მაგრამ შევძელით სასურველი აგენტის პოვნა, ძირითადი დოკუმენტების და ფინანსური საკითხების მოგვარება, თუმცა გადამწყვეტ მომენტში წარმოიშვა პრობლემა სამუშაო პერიოდთან დაკავშირებით. საქმე ისაა, რომ გერმანიაში მუშაობის დაწყებისა და დასრულების ვადები გაწერილია სპეციალურ დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც ეს პერიოდი უნდა მოერგოს სასწავლო კალენდარს. თსუ-ს საგამოცდო გრაფიკი კი იმდენად მოკლე გამოდიოდა, რომ რთული იყო მაღალანაზღაურებადი სამუშაოს პოვნა, ამასთან, ხარჯების გათვალისწინებით მოგება, ფაქტობრივად, უმნიშვნელო რჩებოდა. სტუდენტთა გარკვეული ნაწილი პრობლემის აღმოჩენისთანავე შევხვდით ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ სალომე დუნდუას, რომელიც სტუდენტებისადმი ემპათიური დამოკიდებულებით გამოირჩევა. სწორედ მისი უშუალო შუამდგომლობით, უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ჯაბა სამუშიამ, უნივერსიტეტისთვის დამატებითი ხარჯების მიუხედავად, სპეციალურად ჩვენთვის აღდგენითი გამოცდების პერიოდი 15-17 სექტემბერს გადაიტანა. შედეგად, სამუშაო პერიოდი გაგვეზარდა ორ თვემდე, რაც მისაღებია დამსაქმებლებისა და სტუდენტებისთვის.

> ცვლილების მიხედვით, უცხო ქვეყანაში საზაფხულო დასაქმების პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი გამოცდები ნაცვლად 21 – 27 ივლისისა, დაენიშნათ 15-17 სექტემბრის პერიოდში (ამ შემთხვევაში, სტუდენტის არდადეგების პერიოდად განისაზღვრება 16 ივლისი – 14 სექტემბერი).

ვფიქრობ, ეს არის სწორი კომუნიკაციისა და იმ მზაობის შედეგი, რომელიც საწყის ეტაპზევე გამოითქვა დეკანისა და რექტორის მხრიდან", – გვითხრა ნათიამ.

ბრძანების გამოცემის გამო სტუდენტები კმაყოფილებას ვერ მალავენ. პოლიტიკის მეცნიერებების მეორე კურსის სტუდენტის სალომე მეხრიშვილის თქმით, ეს გადაწყვეტილება მათ საშუალებას მისცემს სამგზავრო ბილეთები შეღავათიან ფასში აიღონ და ბევრად მეტი გამოიმუშაონ, რაც მათ ოჯახებსაც ფინანსურად დაეხმარება. ამავე მიმართულების სტუდენტი თორნიკე ელაშვილი კი, შრომასთან ერთად, ზაფხულის ორთვიანი არდადეგების პროდუქტიულად გატარებას გეგმავს: „ეს გადაწყვეტილება ძალიან სასიხარულოა ჩვენთვის, რადგან უცხოეთში დასაქმების პროგრამა, გარდა სამუშაო გამოცდილებისა, შესაძლებლობას გვაძლევს – გავიცნოთ გერმანული კულტურა და დავხვეწოთ ენა. ძალიან სასიხარულოა, რომ სტუდენტების პრობლემა უყურადღებოდ არ დარჩა. დეკანის, ქალბატონ სალომე დუნდუას და რექტორის, ბატონ ჯაბა სამუშიას თანადგომით, ძალიან ბევრ სტუდენტს გაუადვილდება უცხოეთში დასაქმების პროგრამაში ჩართვა", – გვითხრა მან.

სტუდენტ არჩილ წივილაშვილის თქმით, ამ გადაწყვეტილებამ წლების განმავლობაში არსებული პრობლემა გადაჭრა: „მიხარია, რომ ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რომლის გამოც ხან სამართლიანად და ხანაც უსამართლოდ აკრიტიკებდნენ თსუ-ს, უფრო და უფრო მცირდება. ბატონი ჯაბასა და ქალბატონი სალომეს მხარდაჭერა ამის აშკარა გამოვლინებაა. ვიმედოვნებ, რომ უნივერსიტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ერთი მხრივ, განაგრძობს სტუდენტთა მხარდაჭერასა და მათთან კიდევ უფრო დაახლოებას, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტთა მხრიდან კიდევ უფრო გაიზრდება აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობის სურვილი, რომლის წარმატებით მოგვარებაში უნივერსიტეტმა დიდი ძალისხმევა ჩადო", – ამბობს არჩილ წივილაშვილი.

ჯაბა სამუშიამ სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალი მეცნიერები დააჯილდოვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე აღინიშნა. თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალი მეცნიერები დააჯილდოვეს.

უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი ნათია სორდია, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი მაია სვანაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაკა ხოდელი და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნატო ფიცხელაური.

მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე გაეროს გენერალური ასამბლეის 2015 წლის დეკემბერში მიღებული რეზოლუციის თანახმად აღინიშნება. ამ დღეს გაერო მსოფლიო სახელმწიფოებს, ყველა ორგანიზაციას და ადამიანს მოუწოდებს, მეცნიერებასა და განათლებაში ხელი შეუწყონ ქალების თანასწორ განვითარებას. გაერო იმედოვნებს, რომ მეცნიერებაში სქესთა შორის განსხვავება აღმოიფხვრება და იგი ქალებისათვის მეტად ხელმისაწვდომი გახდება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

> უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი **ნათია სორდია**, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **თამარ ქარაია**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **ქეთევან ხუციშვილი**, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი **მაია სვანაძე**, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი **თამარ კბილაძე**, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **მაკა ხოდელი** და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ნატო ფიცხელაური**.

მასშტაბური პროექტი თსუ-სა და გრაცის უნივერსიტეტის ჩართულობით

თამარ დადიანი

საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ცენტრებში გაწევრიანება დაეხმარება ქართველ მეცნიერებს – ჰქონდეთ წვდომა ევროპული საგანმანათლებლო ინსტიტუციების სამეცნიერო ქსელებსა და უახლეს ინფორმაციაზე, რაც საშუალებას მისცემს მათ მეტად ინტეგრირდნენ ევროპულ აკადემიურ სივრცეში. ამის კარგი მაგალითია თსუ-ს ასოცირებული პროფესორების ეკა ლეკაშვილისა და ია ნაცვლიშვილის საერთაშორისო კვლევითი პროექტის წარმატება.

ავსტრია-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა – ეკა ლეკაშვილმა და ია ნაცვლიშვილმა გრაცის უნივერსიტეტის (ავსტრია) პროფესორ საბინე ბერგნერთან ერთად მოამზადეს საპროექტო განაცხადი თემაზე – „მეწარმე ქალები – სამეწარმეო კარიერის მიზნით ქალ სტუდენტთა გაძლიერება“ (Female entrepreneurship – Empowering female students to pursue an entrepreneurial career), რომელიც დაფინანსდა APPEAR პროგრამის ფარგლებში (ავსტრია).

APPEAR პროგრამა გახლავთ ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პროგრამა უმაღლესი განათლების და კვლევის მიმართულებით.

პროექტი გამიზნულია მოსამზადებელი კვლევისთვის, რომლის საფუძველზეც შემუშავდება მასშტაბური პროექტი თსუ-ს და გრაცის უნივერსიტეტის ჩართულობით.

პროექტის მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ გვესაუბრება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ᲔᲙᲐ ᲚᲔᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ეკა ლეკაშვილი

ია ნაცვლიშვილი

– ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროებში ქალთა ჩართულობის მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, კვლავ დიდ გამოწვევად რჩება სამეწარმეო სფერო, რომელშიც დამსაქმებელი ქალების წილი მამაკაცებთან შედარებით ორჯერ ნაკლებია. ქალი მეწარმეების გაძლიერება, მათთვის საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზება უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. როგორ გაჩნდა იდეა სამეწარმეო განათლების გაძლიერებისა და გაფართოების თემაზე გემუშავათ და რატომ დაინტერესდით ამ თემით.

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში იყო პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელშიც დაინერგა მეწარმეობის კურსები ჯერ კიდებ 2007 წელს პირეუსის უნივერსიტეტთან (საბერძნეთი) განხორციელებული პროექტის – „მეწარმეობის კურსები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ – ფარგლებში. ამ პროექტის ფარგლებში ითარგმნა და შემუშავდა ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, ჩატარდა ინტენსიური მეცადინეობები, წარიმართა სასწავლო პროცესი შეფასების კომპონენტის ჩათვლით; ჩამოყალიბდა სამეწარმეო განათლების ქართულ-ბერძნული ცენტრი. ამ ცენტრის ფარგლებში მრავალი ინიციატივა დამუშავდა, მათ შორის, განათლების ყველა საფეხურზე (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი) სამეწარმეო განათლების საჭიროების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ინიციატივებს მხარდაჭერა არ ჰქონდა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ განათლების პოლიტიკის მესვეურებმა გაითავისეს სამეწარმეო განათლების საჭიროება. სამეწარმეო ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით ვითანამშრომლეთ საქართველოს სხვა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან და სემინარებსა და კონფერენციებში მათი აქტიური მონაწილობით განვიხილავდით სამეწარმეო განათლების საკითხებს. პარალელურად მუდმივად მიმდინარეობდა მუშაობა სოციალური მეწარმეობის, მცირე და საშუალო მეწარმეობის, სამეწარმეო უნივერსიტეტების საკითხების კვლევაზე და კვლევის შედეგები ჩართული იყო სასწავლო პროცესში.

ჩემი კოლეგა, თსუ-ს ასოციებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო კურსს – „მეწარმეობის ეკონომიკა“; აქვს სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებით. ამით იმის თქმა მსურს, რომ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს აქვს საკმარისი გამოცდილება სამეწარმეო სწავლებასთან დაკავშირებით.

იდეა ავსტრიის მხარის მიერ იქნა შემოთავაზებული. ავსტრიის მხარე გამოვიდა პირად კონტაქტზე, რაც აშკარად ეფექტიანი გზა აღმოჩნდა.

პროექტი მეწარმეობის და მისი სწავლების საკითხს ახლებურ ჭრილში გვანახებს – სტუდენტი ქალების გაძლიერება სამეწარმეო კარიერული ზრდისთვის, რაც, თავის მხრივ, ემსახურება მდგრადი განვითარების რამდენიმე მიზანს: 1. გენდერულ თანასწორობას; 2. ღირსეულ შრომას და ეკონომიკურ ზრდას და 3. ინდუსტრიას, ინოვაციას და ინფრასტრუქტურას.

ამასთან, მთავარი მიზანი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრაცის უნივერსიტეტს (ავსტრია) შორის თანამშრომლობის განვითარებაა, რაც მიიღწევა აღნიშნული პროექტის ფარგლებში კვლევის ჩატარებით, სწავლების მეთოდების გაზიარებით, კვლევის შედეგების აღიარებულ რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით და უფრო მასშტაბური პროექტის შემუშავებით მხარეების მონაწილეობით.

– პროექტის მიზანსა და მნიშვნელობაზე რას გვეტყვით?

– ამ მოსამზადებელი პროექტის საერთო მიზანია შექმნას აკადემიური პარტნიორობა ავსტრიასა და საქართველოს შორის, რომელიც ეხმარება გააძლიეროს ახალგაზრდა ქალები სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად. ამრიგად, პროექტის მთავარი თემა ქალთა მეწარმეობაა. საერთო მიზანი ორმხრივად განხორციელდება. კონკრეტული ამოცანებია: პირველი – გენდერული გამოწვევები მეწარმეობაში – ეს თემა უნდა შევისწავლოთ იმის გასარკვევად, თუ რა უშლის ხელს ქალებს სამეწარმეო კარიერის არჩევაში. მეორე – სამეწარმეო ტრენინგი, რომელიც სპეციალურად შექმნილია ქალი სტუდენტებისთვის და, თავის მხრივ, ამ აქტივობებმა უნდა გაზარდოს აკადემიური განათლების მატარებელი ქალი მეწარმეების რაოდენობა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო კარიერა ნებისმიერს შეუძლია აირჩიოს, ამ გზას უფრო მეტი მამაკაცი ირჩევს, ვიდრე ქალი, რის შედეგადაც მსოფლიოში 1,5-ჯერ მეტი მამაკაცი მეწარმეა, ვიდრე ქალი (Elam et al., 2021).

ეს მოსამზადებელი პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინიციატივას, რომელიც აძლევს ქალ სტუდენტებს სამეწარმეო პოზიციების დაკავების შესაძლებლობას.



თსუ-105

tsu.media

თსუ-ს 105 წლის იუბილე

ნატო ობოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაფუძნებიდან 105 წელი აღნიშნა. 8 თებერვლის საიუბილეო კვირეულის ფარგლებში უნივერსიტეტმა საუკუნოვანი ისტორიის, ტრადიციებისა და თანამედროვე მიღწევების სინთეზი წარმოაჩინა – მოეწყო ექსპოზიციები, პრეზენტაციები, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების გამოფენა, პატივი მიაგეს უნივერსიტეტის დამფუძნებლებს, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით 14 პროფესორი დაჯილდოვდა, გაიმართა სპორტული და კულტურული აქტივობები, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 8 თებერვალს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და საუნივერსიტეტო საზოგადოება პირველი კორპუსის ეზოში მდებარე ტაძარში წირვა-ლოცვას დაესწრო.

ისტორია, სწავლება, კვლევა, კულტურა, სპორტი, მესამე მისია – აღნიშნული მიმართულებებით საიუბილეო კვირეულის ფარგლებში ყველა ფაკულტეტზე უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორების მონაწილეობით სხვადასხვა საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სამეცნიერო ღონისძიებები მიმდინარეობდა. მოეწყო კონფერენციები, მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა და წიგნების პრეზენტაციები, პანელური დისკუსიები, კვლევითი პროექტების წარდგინებები, დოკუმენტური ფილმების ჩვენება, დაჯილდოვდნენ ფაკულტეტების კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებების ავტორები.

„ვულოცავ ყველას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილეს. უნივერსიტეტის დაარსება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში, ვინაიდან, უნივერსიტეტი იქცა არა მხოლოდ განათლების ცენტრად, არამედ, ზოგადად, მეცნიერების განვითარების მთავარ კერად მე-20 საუკუნის საქართველოში. მაგრამ ყველაზე უფრო ნიშანდობლივი მაინც ის არის, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს უნივერსიტეტი ინარჩუნებდა მთავარ ნაციონალურ იდეას, რომელზეც გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალი სახელმწიფო დაფუძნდა. სწორედ ესაა უნივერსიტეტის უპირველესი მისია“, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ** საიუბილეო ღონისძიებაზე.

ყველა უნივერსიტეტელსა და სრულიად საქართველოს მიულოცეს თსუ-ის 105 წლის იუბილე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **მიხეილ ჩხენკელმა** და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, **მეუფე შიომ**. საიუბილეო ღონისძიებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით 14 პროფესორი დააჯილდოვეს.

„ჩემთვის დიდი პატივია ეს ჯილდო, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობაც. ამ ჯილდოს ჩემთან ერთად ინაწილებს მთელი ფაკულტეტი. ეს არის ხალხი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენი ფაკულტეტი იყოს უპირობო ლიდერი ფსიქოლოგიური განათლების სფეროში საქართველოში“, – განაცხადა თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა **ია კუტალაძემ.**

თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსვლისას

საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ყვავილებით შეამკო თსუ-ს დამფუძნებელთა საფლავები

უნივერსიტეტის ოქროს მედლით 14 პროფესორი დაჯილდოვდა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებისა და მისი უწყვეტი განვითარების მნიშვნელობაზე საზოგადოების წარმომადგენლებმა, აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა ისაუბრეს. როგორც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა **ნანა გაფრინდაშვილმა** აღნიშნა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება არ არის ლოკალური მნიშვნელობის მქონე მოვლენა, ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა როგორც ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის და ასევე ჩვენი რეგიონისთვის. უნივერსიტეტს იმთავითვე უმნიშვნელოვანესი მისია დაეკისრა ჩვენი ქვეყნის წინაშე და დღემდე იგი ამ მისიას პირნათლად ასრულებს“.

„გამორჩეული დღეა საქართველოს ისტორიაში – დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების დღე! დიდმა ივანე ჯავახიშვილმა საკმაოდ მაღალი კლასის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად ჯერ კიდევ პეტერბურგში შეიმუშავა უნივერსიტეტის დაფუძნების გეგმა. 1917 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით, შექმნა საუნივერსიტეტო საზოგადოება. შეკავშირებულებმა მოახერხეს საუნივერსიტეტო იდეის მნიშვნელობის სწორი პროპაგანდა. უკვე 3 იანვარს პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წარდგინებით, პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს, ხოლო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად ივანე ჯავახიშვილი. დღეს უნივერსიტეტი უკვე 105 წელს ითვლის, აყვავებულია და მინდა ყველა უნივერსიტეტელს, პროფესორს, სტუდენტს წარმატებები ვუსურვო“, – განაცხადა აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლება 300 000-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო. უნივერსიტეტთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული ის ოჯახები, სადაც უნივერსიტეტელობა უკვე ტრადიციად არის ქცეული.

„ბიძაჩემი რევაზ გაჩეჩილაძე, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს, პირველი მიღების სტუდენტი იყო, მამაჩემი აქ სწავლობდა და მოღვაწეობდა, აქ ვსწავლობდი და ვსაქმიანობ მეც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელეს განათლების მიღება ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა. შესაბამისად, ჩემთვის ძალიან ძვირფასია პირველი ქართული უნივერსიტეტი და ამასთანავე, მას აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების დიდი ძალა, რადგან მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის ბედი დიდწილად სწორედ ამ შენობაში წყდებოდა“, – აღნიშნა პროფესორმა, აკადემიკოსმა **რევაზ გაჩეჩილაძემ.**

„უნივერსიტეტი ინარჩუნებს დედაუნივერსიტეტის სულისკვეთებას და, რაც

გვ. 8

თსუ-ს 105 წლის იუბილე

მე-7 გვ-დან

მთავარია, გრძელდება ტრადიციები, მკვიდრდება სიახლეები, ახალი თაობები არ ივიწყებენ დამფუძნებლების ღვაწლს“, – განაცხადა პროფესორმა **ვალერი ასათიანმა.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **დამანა მელიქიშვილი** ივანე ჯავახიშვილს იოანე პეტრიწის „მემკვიდრედ“ მიიჩნევს: „როგორც გელათის აკადემია იყო განათლების კერა და განვითარების ახალი საწყისი მეთორმეტე საუკუნის საქართველოში, ასევე უნივერსიტეტის დაფუძნება გახდა დიდი ისტორიული მოვლენა ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის“, – განმარტავს პროფესორი.

„თბილისის უნივერსიტეტის იუბილეზე ყოველთვის მოვდივარ, რომ გავიხსენო ის ყველაფერი, რაც უნივერსიტეტს უკავშირდება. მინდა ვუთხრა ახალ თაობას, რომელიც უნივერსიტეტში მიდის განათლების მისაღებად – დაბრუნდნენ აქ და გააკეთონ ისეთი დიდი საქმეები, როგორიც დამფუძნებელთა თაობამ გააკეთა. მე ვფიქრობ, სანამ საქართველო იქნება, უნივერსიტეტი იარსებებს როგორც მნიშვნელოვანი და საამაყო კერა“, – აღნიშნა შალვა ნუცუბიძის შვილმა, პროფესორმა **თამარ ნუცუბიძემ.**

უნივერსიტეტის დამფუძნებლებისადმი პატივის მიგება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო დღე დამფუძნებლებისადმი პატივის მიგებითა და დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვით დაიწყო. უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ, უნივერსიტეტის აკადემიურმა საზოგადოებამ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლების საფლავები ყვავილებით შეამკეს.

„1918 წლის 8 თებერვალს თბილისში შეიქმნა პირველი უნივერსიტეტი ამიერკავკასიაში, რომელმაც სწავლება მშობლიურ ენაზე დაიწყო. ერთიორად მნიშვნელოვანია 8 თებერვალი იმის გათვალისწინებით, რომ ასევე აღვნიშნავთ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს. დილიდან შევამკეთ თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის პანთეონში დამფუძნებლების საფლავები, დავესწარით წირვას, რომელიც დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში აღევლინა. საიუბილეო კვირეულის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. ეს დღე ყველა უნივერსიტეტელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აცნობიერებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანიშნულებას ქვეყნის განვითარებასა და აღმშენებლობაში. მინდა, საქართველოს ყველა მოქალაქეს მივულოცო ეს დღე და ვუსურვო ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყოს ყოველთვის მხნედ და ძლიერად, რაც, როგორც საგანმანათლებლო სივრცისთვის, ასევე, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **ლაშა საღინაძემ.**

„105 წელი დიდი დროა, ამ წლების განმავლობაში უნივერსიტეტმა არაერთი თაობა აღზარდა, რომელიც წარმოადგენდა, წარმოადგენს და მომავალშიც იქნება საქართველოს განვითარების მამოძრავებელი ძალა“, – აღნიშნა დამფუძნებლებისადმი პატივის მიგების ცერემონიაზე თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **ალექსანდრე გაბაშვილმა.**

გამოფენა – უნივერსიტეტის დაფუძნების რეტროსპექტივა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში წარმოდგენილ ექსპოზიციაზე XX საუკუნის დასაწყისის მოვლენების რეტროსპექტივა აისახა – გამოფენა გაიხსნა საქართველოს უახლეს ისტორიაში სამი უმნიშვნელოვანესი მოვლენით: მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, უნივერსიტეტის დაარსება, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და დაიხურა ივანე ჯავახიშვილის ციტატით: „სიყვარულის გარეშე არაფერი საქმე არ გაკეთდება“. ექსპოზიციაზე ფოტოების საშუალებით გაცოცხლდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების წინარე პერიოდი. წარმოდგენილი იყო უნიკალური საარქივო დოკუმენტები, პოსტერები, დამფუძნებლების პირადი ნივთები და საუნივერსიტეტო ექსპონატები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის პროცესში საძირკვლის ნიშაში მოთავსებული ღვინის ბოთლები, თიხის ჭურჭელი, იმ დროს არსებული საზოგადოების წესდებები და გაზეთები; უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ნიკო ცხვედაძის ჩანაწერები გიმნაზიის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით; თსუ-ს მუზეუმში დაცული უნივერსიტეტის დამფუძნებლების, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის ფოტოები, ხელნაწერები და მემორიალური ნივთები; კოტე ბაქრაძის მიერ ჰეგელისა და ედმუნდ ჰუსერლის სალექციო ჩანაწერები გერმანულ ენაზე; პირველი ჩათვლის წიგნაკები, მათ შორის, ბიძინა რამიშვილის ჩათვლის წიგნაკის დედანი; უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების ოქმები; პირველ კურსდამთავრებულთა სიები; სასწავლო პროგრამები უნივერსიტეტის დაარსების დღიდან; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ბეჭდის ესკიზები და ბეჭედი.

„XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ძალიან გააქტიურებული იყო სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობები: „ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება“, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“... მათ

ერთობლივად ჩაუყარეს საფუძველი საქართველოში პირველი დიდი გიმნაზიის მშენებლობას, სადაც 1918 წლიდან უნივერსიტეტი განთავსდა. ჩვენს ექსპოზიციაზე წარმოდგენილია გეგმა იმ მიწისა, სადაც აშენდა ეს გიმნაზია. 1973 წელს შე-

ნობის რეკონსტრუქცია განხორციელდა, ნიშაში ბოთლები და ქილა აღმოაჩინეს, რომელშიც ჩადებული იყო იმდროინდელი პერიოდული გამოცემები, წესდებები, ანუ ერთგვარი გზავნილი მომავალი თაობებისთვის... აღნიშნული ექსპონატებიც წარმოდგენილი გვაქვს. გამოფენილია დამფუძნებლების მემორიალური ნივთები, ასევე, პირველი ლექტორების, პირველი გამოშვების სტუდენტთა სია... შევეცადეთ წარმოგვეჩინა ყველა იმ ადამიანის ღვაწლი, ვინც უნივერსიტეტის დაარსებაში მიიღო მონაწილეობა“, – განაცხადა თსუ-ს მუზეუმის დირექტორმა **მაია გურაბანიძემ.**

საუნივერსიტეტო წიგნების გამოფენა

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი საუნივერსიტეტო გამოცემები, პირველი დისერტაციები და უნივერსიტეტის ამჟამინდელი პროფესორ-მასწავლებლების ბოლო წლებში გა-

1918 წლის 8 თებერვალს თბილისში შეიქმნა პირველი უნივერსიტეტი ამიერკავკასიაში, რომელმაც სწავლება მშობლიურ ენაზე დაიწყო. ერთიორად მნიშვნელოვანია 8 თებერვალი იმის გათვალისწინებით, რომ ასევე აღვნიშნავთ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

თსუ-ს 105 წლის იუბილე

მე-8 გვ-დან

მოცემული მნიშვნელოვანი ნაშრომები. საუნივერსიტეტო წიგნების გამოფენა შინაარსობრივად ფაკულტეტების მიხედვით დაიყო. თითოეულ ექსპოზიციასთან განთავსებული იყო მონიტორები, სადაც დამთვალიერებლებს ფაკულტეტების შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლების ნახვის საშუალება ჰქონდათ.

„მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი და წიგნი ერთმანეთისგან განუყოფელია. ჩვენ შევეცადეთ გამოფენის დიდი ნაწილი ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების უახლეს მიღწევებს დასთმობოდა, მაგრამ, ამავე დროს, გამოვფინეთ ის ძვირფასი მასალა, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმიანობის დასაწყისს, ანუ წარმოვადგინეთ პირველი გამოცემები და ასევე საეტაპო მნიშვნელობის დისერტაცია, რითაც ჩვენი საბიბლიოთეკო ფონდი იწონებს თავს“, – განმარტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა **ზურაბ გაიპარაშვილმა.**

იურიდიულ ფაკულტეტზე სახელობითი აუდიტორიები გაიხსნა

თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე ფაკულტეტის დამაარსებელ პროფესორთა სახელობის ხუთი აუდიტორია გაიხსნა. ასევე გაიხსნა ორი საკონფერენციო დარბაზი, რომელთაც საქართველოში პირველი იურისტი ქალი მეცნიერის, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებლის თინათინ წერეთლისა და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ფუძემდებლის, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელები მიენიჭათ.

„იურიდიულ ფაკულტეტზე გაიხსნა ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა და თინათინ წერეთლის სახელობის მცირე საკონფერენციო დარბაზები, ასევე მოხდა აუდიტორიების სახელდება, მათ შორის არის გიორგი ნანეიშვილის, ალექსანდრე ვაჩეიშვილის, იროდიონ სურგულაძის, სერგო ჯორბენაძის და ისიდორე დოლიძის სახელობის აუდიტორიები. დაგეგმილი გვაქვს მათივე სახელობის სტუდენტური სტიპენდიების დაწესებაც, რაც ხელს შეუწყობს ღვაწლმოსილი პროფესორების სახელების უკვდავყოფას. მინდა, მადლობა ვუთხრა უნივერსიტეტს და, ასევე, იურიდიულ ფირმებს, რომელთა თანადგომითაც ჩვენ ამ პროექტის განხორციელება შევძელით“, – განაცხადა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა **თამარ ზარანდიამ.**

სპორტული და კულტურული ღონისძიებები

საიუბილეო დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ახალი სპორტული სივრცეები საზეიმოდ გაიხსნა. კალათბურთისა და ფრენბურთის დარბაზის პრეზენტაციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად საიუბილეოდ გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში – ტექბოლი, 3*3 ფეხბურთი, კალათბურთი – გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვა.

„ზუსტად 105 წლის წინ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტით და 400-მდე სტუდენტით დაიწყო საუნივერსიტეტო განათლება საქართველოში. ამ პერიოდიდან მოყოლებული თსუ იდგა, დგას და იდგება ქართული სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ქვეყნის, ქართული საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე. ამდენად, 8 თებერვალი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უნივერისტეტელებისთვის, არამედ, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი სახელმწიფოსთვის... აქედან გამომდინარე, ვულოცავ ყველას უნივერსიტეტის იუბილეს და ვუსურვებ მუდმივ განვითარებას, საინტერესო გამოწვევებს. ვისურვებდი, რომ ის არა მხოლოდ საქართველოში და რეგიონში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით ყოფილიყოს ერთ-ერთი წამყვანი წარმატებული უნივერსიტეტი.

საიუბილეო კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები გვქონდა დაგეგმილი: საგანმანათლებლო, სასწავლო, სამეცნიერო, კულტურული, სპორტული... გავხსენით კალათბურთის ორი დარბაზი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, მოგეხსენებათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს სპორტული გუნდები ფეხბურთში, კალათბურთში, მათ შორის, კალათბურთში სტუდენტური და პროფესიონალური გუნდი, რომელიც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, პოპულარიზაცია... ამიტომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს ამ პროცესების ხელშეწყობას“, – განაცხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ **გიორგი შამათავამ.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სპორტული კლუბია, რომელსაც წელს 100 წელი შეუსრულდა. ახალი სპორტდარბაზების გახსნის შემდეგ თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი კლუბში მცირე ასაკობრივი ჯგუფების მიღებასაც გეგმავს.

„თსუ-ს აქვს დიდი სპორტული ტრადიცია – ამ წელს თსუ კალათბურთის კლუბს 100 წელი შეუსრულდა, ერთ-ერთი უძველესი კლუბია საქართველოში. ორი ახალი დარბაზის გახსნა ნიშნავს, რომ თსუ-ს უმაღლეს ლიგაში მოთამაშე პროფესიონალურ გუნდთან ერთად ეყოლება საკალათბურთო გუნდები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, ეს იქნება ერთგვარი სპორტული აკადემია. იმედი გვაქვს წარმატების და ქვეყნის მასშტაბით წარმოვაჩენთ, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელს“, – აღნიშნა თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა **ირაკლი ხარჯავანიძემ.**

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ისეთ აქტივობებს, რომელიც ბავშობის ასაკიდანვე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ითვალისწინებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მომავლისთვის. რაც შეეხება ჩვენს გუნდსა და მიზნებს, ვცდილობთ თამაშიდან თამაშამდე გავძლიერდეთ და ჩვენი შედეგი მხოლოდ მოგებით დავაფიქსიროთ“, – გვითხრა თსუ-ს კალათბურთის გუნდის წევრმა **ნიკა დარბაიძემ.**

ირაკლი ხარჯავანიძე

გიორგი შამათავა

სპორტულ ღონისძიებებთან და ახლად გახსნილი დარბაზების პრეზენტაციასთან ერთად 8 თებერვალს საჭადრაკო ტურნირიც გაიმართა, რომელშიც თსუ-ს სტუდენტებმა, პროფესორებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა.

„საჭადრაკო ტურნირში, საერთო ჯამში, დაახლოებით 60-ზე მეტი მონაწილე ჩაერთო. გამარჯვებულებს სიმბოლური, სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით“, – აღნიშნა თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენელმა **გიორგი სარალიძემ.**

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გამოიფინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების კათედრის პროფესორებისა და სტუდენტების ნამუშევრებიც. ექსპოზიცია თსუ-ს პირველი კორპუსის მუზეუმში იყო წარმოდგენილი.

თსუ-ს პირველ კურსდამთავრებულთა საიუბილეო მარკების პრეზენტაცია

უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს ფოსტამ პირველ კურსდამთავრებულთა საიუბილეო მარკები გამოუშვა. საიუბილეო მარკებზე გამოსახულია ივანე ჯავახიშვილი პირველ კურსდამთავრებულებთან ერთად, ასევე, სიმონ ჯანაშია, შალვა ამირანაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, თამარ ლომოური და ვარლამ თოფურია. მარკები საქველმოქმედო ხასიათისაა, საქართველოს ფოსტა შემოსული თანხის ნაწილის გამოყოფას სოფელ ხოვლეში მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციისთვის გეგმავს.

„ჩემთვის დიდი პატივია უნივერსიტეტის საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. მონაწილეობის მიზეზიც გვაქვს, გამოვეცით პირველ კურსდამთავრებულთა საიუბილეო მარკები და მიღებული შემოსავლის ნაწილით ვგეგმავთ ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო პროცესის ხელშეწყობას. ასევე, უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მიმდინარე წლის გაზაფხულზე გამოიცემა წიგნი, სადაც დამფუძნებელთა ოჯახებში შემონახული უნიკალური ისტორიული დოკუმენტები შევა. ეს არის მასალები, რომელსაც ჯერ საზოგადოება არ იცნობს“, – განაცხადა საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა **ლევან ჩიკვაიძემ.**

საიუბილეო საღამო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის საიუბილეო ღონისძიებები საზეიმო სხდომითა და კონცერტით დასრულდა. სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე თამარ მახარაშვილი, მოადგილეები ნუნუ მიცკევიჩი და ვალერიან გობრონიძე, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვარი, უნივერსიტეტების რექტორები, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სხვა მოწვეული სტუმრები.

სხდომა გახსნა და უნივერსიტეტის დაარსებიდან 105 წლისთავი მიულოცა სა-

გვ. 10



ᲗᲡᲣ-105

tsu.media

ᲗᲡᲣ-Ს 105 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

^ მე-9 გვ-დან

ზოგადოებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, რომელმაც გაიხსენა უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელოვანი ეტაპები, პატივი მიაგო დამფუძნებელთა მოღვაწეობას და ისაუბრა უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივაზე.

საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე მეუფე შიომ, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა, რომელმაც ქვეყნის წინსვლისა და განვითარების კუთხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველთვის იყო და არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიური მხარდამჭერი და პირადად მე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ყველაფერს გავაკეთებ, რათა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შევუწყოთ უნივერსიტეტში აკადემიური გარემოს გაუმჯობესებასა და განვითარებას“, – აღნიშნა **მიხეილ ჩხენკელმა.**

უნივერსიტეტის 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის უნივერსიტეტის გამორჩეულ პროფესორებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, ჯაბა სამუშიასთან ერთად, საპატიო პრიზი გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 7 ფაკულტეტის 14 პროფესორს. მათ შორის იყვნენ – ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები **ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲘ** და **ᲘᲐᲛᲖᲔ ᲙᲣᲤᲐᲚᲐᲫᲔ**; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები **ᲠᲔᲕᲐᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ** და **ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲓᲝᲜᲐᲫᲔ**; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები **ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲫᲔ** და **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲠᲣᲡᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ**; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები **ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ** და **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲮᲝᲙᲘᲫᲔ**; მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲮᲝᲓᲔᲚᲘ** და **ᲚᲐᲚᲘ ᲨᲐᲠᲕᲐᲫᲔ**; ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორები **ᲡᲘᲛᲝᲜ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და **ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲗᲝᲓᲣᲐ**; იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები **ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲒᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** და **ᲒᲝᲩᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔ**.

ღონისძიების ბოლოს თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტების ორგანიზებით გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვოკალური, ფოლკლორული, ქორეოგრაფიული ანსამბლები, სტუდენტური კაპელა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ცნობილი მომღერლები.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲚᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲚᲘᲐ!

ბავშვთა და მოზარდთა სოციალური შფოთვის კვლევა ციფრული ტექნოლოგიებით განხორციელდება

ნატო ობოლაძე

თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი თეონა ლოდია ბავშვთა და მოზარდთა სოციალური შფოთვის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევას, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, გერმანიის ჰუმბოლდტისა და იენას უნივერსიტეტებში განახორციელებს.

კვლევითი პროექტი ქართველ მეცნიერთა მობილობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებითა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) ორგანიზებით მიმდინარეობს. აღნიშნული პროექტის მიზანია ქართველი მეცნიერების ხელშეწყობა სამომავლოდ ჰორიზონტი ევროპის გრძელვადიან კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

თეონა ლოდია

„კვლევის მნიშვნელობას და ინოვაციურობას, პირველ რიგში, განაპირობებს ის, რომ საქართველოში, ფაქტობრივად, არ ტარდება კვლევები კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით, მით უფრო – ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

სოციალური შფოთვის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით ხელს შეუწყობს ამ მეთოდოლოგიის ფსიქოთერაპიაში გამოყენების დანერგვას და, შესაბამისად, შფოთვითი აშლილობის მქონე ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს გადავხედოთ და ახალი ინფორმაციით შევავსოთ სოციალური შფოთვის განვითარების კოგნიტიური მოდელი ბავშვებსა და მოზარდებში.

კოგნიტიურ-ბიჰევიორული თერაპია, რომელიც ერთ-ერთი ეფექტური, კვლევებით დადასტურებული თერაპიული მიდგომაა სოციალური შფოთვის შემთხვევაში, გულისხმობს ირაციონალური აზრების აღმოჩენას, გაანალიზებასა და რესტრუქტურირებას. კლინიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აზრები, რომლებიც SAD-ის შემთხვევაში უკავშირდება გარკვეულ სოციალურ სიტუაციებს და იწვევს შფოთვას, რთული დასაფიქსირებელია თერაპიული სესიის დროს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში, რადგან მათ მეტაკოგნიტიურიუნარები ჯერ კიდევ კარგად არ აქვთ განვითარებული. ვირტუალური ექსპოზიციის მეთოდი, ამ შემთხვევაში, არის საუკეთესო საშუალება სოციალური შფოთვის გამომწვევი ირაციონალური აზრების დასაფიქსირებლად, რადგან ბავშვი და მოზარდი ფსიქოთერაპიული სეანსის დროს უპირისპირდება შფოთვის გამომწვევ სოციალურ სიტუაციას და ფსიქოთერაპევტის დახმარებით მარტივად აღმოაჩენს ირაციონალურ აზრებს“, – განმარტავს თეონა ლოდია.

ვირტუალური ექსპოზიციის მეთოდით კვლევა თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას საჭიროებს, რისი რესურსი და შესაბამისი გამოცდილება ჰუმბოლდტისა და იენას უნივერსიტეტებში უკვე არსებობს. თეონა ლოდიასკვლევა სწორედ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების ბავშვთა და მოზარდთა კლინიკური ფსიქოლოგიის სამუშაო ჯგუფთან ერთად წარიმართება.

> სოციალური შფოთვის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით ხელს შეუწყობს ამ მეთოდოლოგიის ფსიქოთერაპიაში გამოყენების დანერგვას და, შესაბამისად, შფოთვითი აშლილობის მქონე ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

„პანდემიის გამოცდილებამ აქტუალური გახადა e-mental health სერვისების არსებობა, რომელიც გულისხმობს დიგიტალური ინფორმაციისა და კომუნიკაციის გამოყენებას მენტალური ჯანმრთელობის სერვისების გაუმჯობესებისთვის. მსოფლიოში უკვე არსებობს Virtual Reality Exposure მეთოდის ფსიქოლოგიური კვლევისას თუ ფსიქოთერაპიის დროს გამოყენების გარკვეული გამოცდილება. წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩვენი მთავარი პარტნიორია ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორი ჯულია ასბრანდი. პროფესორი ჯულია ასბრანდი წელს ახალი კვლევითი ჯგუფის ჩამოყალიბებას გეგმავს იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში. ახალი კვლევითი ჯგუფის ფოკუსი სწორედ ბავშვებსა და მოზარდებში შფოთვითი აშლილობების შესწავლა იქნება. ის დაინტერესებულია ჩვენთან თანამშრომლობით და მზადაა აქტიურად ჩაერთოს ჩვენი კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ჩვენი კვლევის მიზანია – შევისწავლოთ ბავშვებსა და მოზარდებში სოციალური შფოთვის გამომწვევი და შემანარჩუნებელი კოგნიტიური ფაქტორები თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. კვლევითი პროექტის ფარგლებში შევისწავლით ყურადღების და აღქმული ინფორმაციის ინტერპრეტაციის პროცესებს სხვადასხვა სოციალურ სტიმულთან მიმართებით. ასევე, გავაანალიზებთ ასაკობრივ და სქესობრივ განსხვავებებს საკვლევ ცვლადებთან მიმართებით“, – აცხადებს თეონა ლოდია.

კვლევის ავტორი პროექტის რამდენიმე მნიშვნელოვან შედეგს პროგნოზირებს. მისი განმარტებით, მოსალოდნელი პროდუქტები იქნება:

- „გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება;
- გადაიხედება და ახალი ცოდნით გამდიდრდება სოციალური შფოთვის კოგნიტიური მოდელი, რაც შეავსებს ბავშვთა და მოზარდთა ასაკში სოციალური შფოთვის გამომწვევი მექანიზმების შესახებ არსებულ მტკიცებულებებს;
- საერთაშორისო ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნება ქართული რეალობისთვის სრულიად ახალი ინოვაციური პროდუქტი – Virtual Reality Exposure method. აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობა ექნებათ როგორც ქართველ მკვლევრებს, ასევე, ბავშვთა და მოზარდთა კლინიკურ ფსიქოლოგიაში მომუშავე პრაქტიკოს სპეციალისტებს.
- ქართულ რეალობაში არ არსებობს კვლევითი ლაბორატორია, რომელიც საშუალებას მისცემს მკვლევრებს – გაეცნონ და გამოიყენონ ტექნოლოგიური მეთოდოლოგია კვლევის დროს. წარმოდგენილი კვლევის შედეგად შექმნილი ინოვაციური ინსტრუმენტი ხელს შეუწყობს ამგვარი ინსტრუმენტებით დაინტერესებას და ტექნოლოგიური ლაბორატორიის დაარსებას ფსიქოლოგიური კვლევებისთვის;
- საფუძველი ჩაეყრება ქართულ და გერმანულ უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობას, რაც ქართულ რეალობაში ბავშვთა და მოზარდთა კლინიკური ფსიქოლოგიის განვითარებას შეუწყობს ხელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა სახელწოდებით: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება. აღნიშნული საერთაშორისო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ერთობლივი ახალი კვლევითი პროექტების ინიცირებას და სტუდენტთა ჩართულობას, მათ საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას;
- ქართულ რეალობაში კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევების მწირი გამოცდილება არსებობს. ამასთან, არ არსებობს ფსიქოთერაპიაში თანამედროვე ინოვაციური მეთოდების გამოყენების გამოცდილება. წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შედეგად საფუძველი შეიქმნება ინოვაციური მეთოდების გამოყენებისთვის ფსიქოთერაპიაში;
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით მომზადდება სოციალური შფოთვითი აშლილობის მქონე ბავშვებისა და მოზარდების თერაპიის გაიდლაინი პრაქტიკოსებისთვის“.

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ბავშვთა და მოზარდთა სოციალური შფოთვის განმაპირობებელი ფაქტორების კვლევა ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორი კვლევითი ვიზიტი გერმანიაში, ასევე, ვორქშოფებსა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

„ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობა თანამედროვე მსოფლიოს უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ის არასაკმარისი, მაგრამ აუცილებელი პირობაა განათლებასა და განვითარებაზე ორიენტირებული თაობების ჩამოსაყალიბებლად. ვფიქრობ, კვლევითი პროექტი ხელს შეუწყობს ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ინოვაციური მეთოდების დანერგვას და, შესაბამისად, წვლილს შეიტანს ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებაში“, – აღნიშნავს თეონა ლოდია.

კონკურსის „რატომ ვსწავლობ ბერძნულ ენას“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი

TSU Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies-ში მოსწავლეთა ესეების კონკურსის „რატომ ვსწავლობ ბერძნულ ენას“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

შვიდი სკოლის 88 მოსწავლემ ესე ქართულ და ბერძნულ ენებზე წარმოადგინა. თსუ-ს პროფესურისგან შემდგარმა ჟიურიმ თითო სკოლიდან 3 გამარჯვებული გამოავლინა. საბერძნეთის ელჩმა საქართველოში, ქალბატონმა მარია თეოდორუმ და თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა ლევან გიგინეიშვილმა გამარჯვებულებს პრიზები, ყველა მონაწილეს კი სერტიფიკატები გადასცეს.

კონკურსი, რომელიც ბერძნული ენის საერთაშორისო დღეს ეძღვნებოდა, საქართველოში საბერძნეთის საელჩოსთან თანამშრომლობით გაიმართა და მასში მონაწილეობდნენ სკოლები, რომლებშიც, საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერითა და ინსტიტუტის პატრონაჟით, პროგრამა „ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში“ ხორციელდება.

გიორგი კალანდიას „ქართული მოდის ისტორია“ - პრეზენტაცია თსუ-ში

ნატო ობოლაძე

გიორგი კალანდია

როგორ იმოსებოდნენ საქართველოში მეფე-დედოფლები, ერისთავები, საზოგადოების რიგითი წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, ბავშვები? რა ქსოვილს იყენებდნენ? რისი ამოკითხვა შეიძლება ქართული მოდის ისტორიიდან? – კითხვებზე პასუხი, პირველად საქართველოს ისტორიაში, ერთ ვრცელ ილუსტრირებულ ენციკლოპედიაშია მოცემული. გიორგი კალანდიას „ქართული მოდის ისტორია“ 400 გვერდიანია, შედგება 180 თავისგან და კოლხი მედეას ეპოქიდან მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე პერიოდში ქართული მოდის ამსახველ 3200 ფოტოს აერთიანებს. ინტეგრირებული ვიზუალური და ტექსტური მასალა მკითხველს საშუალებას აძლევს, რომ თვალი გაადევნოს ქართული ქსოვილისა და სამოსის ფორმირების ევოლუციას. კვლევისას დამუშავებული ისტორიული დოკუმენტები, ფრესკები, დღემდე მოღწეული ხელოვნების ნიმუშები მკაფიოდ ასახავს აზიურ და ევროპულ გავლენებს, წარსულის გამოწვევებსა და თვითმყოფად ქართულ კულტურას.

„ქართული მოდის ისტორია“ ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა. ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი წარმოადგენს აკადემიური ტექსტის ნიმუშს, რომელიც გამიზნულია როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებისა თუ უბრალოდ ქართული კულტურით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

ქეთევან ხუციშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას შეფასებით, „ქართული მოდის ისტორია“ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში განხორციელებული ყველაზე მასშტაბური კვლევაა, რომელიც საფუძვლიანად წარმოაჩენს ქართული ქსოვილისა და სამოსის ფორმირების მრავალსაუკუნოვან გზას.

„მინდა მივულოცო ბატონ გიორგი კალანდიას, მართლაც რომ საეტაპო ნაშრომის გამოცემა, რადგან მსგავსი მასშტაბის კვლევა, ქართული მოდის ისტორიის მიმართულებით, თითქმის ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ ჩატარებულა. მეტიც, ამ ნაშრომს ძალიან დიდი სამეცნიერო დატვირთვა აქვს – მასში ასახულია უამრავი ქართული კოსტიუმის რეკონსტრუქცია, რაც საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს ისტორიკოსებისთვის, ეთნოლოგებისთვის და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისთვის.

გიორგი კალანდია კვლევით სამუშაოებს წლების განმავლობაში ატარებდა, მთელი საქართველო მოიარა და შეკრიბა ყველა ის ისტორიული დოკუმენტი, რასაც ქართული მოდის ისტორიის შესახებ ჩვენთვის ვიზუალური წარმოდგენის საშუალება შეიძლება მოეცა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომი, რომელიც ნათელს ხდის – თუ რამდენად საინტერესო ისტორია აქვს ქართულ მოდას“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

ილუსტრირებულ ენციკლოპედიაში, ძირითადად, საქართველოს ხელოვნების სასახლეში დაცული ქსოვილისა და კოსტიუმების კოლექციის ძვირფასი ნიმუშებია თავმოყრილი, თუმცა გიორგი კალანდიამ შეისწავლა და რეკონსტრუირებული სახით წარმოადგინა ფრესკებზე, ისტორიულ ფოტოდოკუმენტებში, საფლავის ქვებზე ასახული გრავირებები და ნახატები. შედეგად, მკითხველს შეუძლია წარმოდგენა შეიქმნას, თუ როგორ იმოსებოდნენ ქართველი მეფე-დედოფლები, საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები და, მათ შორის, ბავშვებიც უძველესი დროიდან XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით და ასევე, გაიგოს, რისი ამოკითხვა შეიძლება მოდის ისტორიიდან პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მახასიათებლების შესახებ.



წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ლადო გუდიაშვილის ესკიზებს, რომელიც პირველი ქართველი მხატვარი გახლდათ, რომელმაც პირველად შექმნა ესკიზები ქართული მოდის ჟურნალისთვის. აღსანიშნავია, რომ მათ შორის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელების ფორმისთვის შექმნილი ესკიზებიც.

„ჩვენი მიზანი იყო, რომ ნაშრომი რაც შეიძლება ფართო საზოგადოებისთვის ყოფილიყო საინტერესო და ხელმისაწვდომი. წიგნი ასახავს ქართული მოდის ისტორიას უძველესი პერიოდიდან XX საუკუნის 50-იან წლებამდე. განსაკუთრებით ბოლო პერიოდი ჩვენი რეალობის თითქმის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება. გარდა ამისა, თუ ქართული ეროვნული მოდის ბრწყინვალე ნიმუშების თუნდაც მცირე აქსესუარები გაჩნდა ჩვენს ყოველდღიურობაში, ეს იქნება დასტური გრიგოლ რობაქიძის ცნობილი სიტყვისა: „მოდა, რომელიც ყოველთვის არსებობს“, – განაცხადა გიორგი კალანდიამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წრის წარმომადგენლები ამბობენ, რომ „ქართული მოდის ისტორია“ სიმბოლიკით, ისტორიის სხვადასხვა ეპოქითა თუ, ზოგადად, კულტურის სფეროს მიმართულებებით დაინტერესებული მკვლევრებისთვის ახალი საკვლევი არეალის აღმოჩენის წყაროც არის.

„მნიშვნელოვანი გამოცემაა, არაჩვეულებრივი პოლიგრაფიული დონით და, ასევე, სამეცნიერო ღირებულების თვალსაზრისით. მთელი ეს ილუსტრაციები, ანალიზი, აღდგენილი ინფორმაცია, პირველ რიგში, ისტორიკოსებს და ქართული კულტურის სფეროს წარმომადგენლებს წაადგებათ, რადგან ასე ერთიანად თავმოყრილი ინფორმაცია ქართული მოდის მიმართულებით აქამდე არ გვქონდა. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ კვლევის ახალი მიმართულებები აღმოვაჩინოთ, რადგან მოდა ისეთი რამ გახლავთ, რაც ეპოქის სულს გადმოსცემს და ასახავს იმდროინდელ ღირებულებებს, ეთიკურ თუ ესთეტიკურ შეხედულებებს, სოციალური ფენების სტრუქტურასა და ყოველდღიურობის სხვადასხვა ელემენტებს, მათ შორის, ქსოვილების დამზადება-წარმოებასთან დაკავშირებული შინამრეწველობის ფორმებს. მე მგონია, რომ ეს ნაშრომი, ჩამოყალიბებული მკვლევრების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ახალგაზრდებისთვის, რადგან, ერთი მხრივ, აღმოაჩენენ საქართველოს, ქართულ კულტურას ახალი კუთხით, მეორე მხრივ კი მიეცემათ სტიმული – ბოლომდე გაჰყვნენ ღირებულ საქმეს“, – აღნიშნა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ქეთევან ხუციშვილმა.

გიორგი კალანდიას „ქართული მოდის ისტორია“ საქართველოს ხელოვნების სასახლის ბაზაზე მომზადდა. წიგნის პირველი ტირაჟი საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით გამოიცა. ენციკლოპედიის ვრცელი ტირაჟით დაბეჭდვა მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

ჯაბა სამუშია

ᲐᲚᲛᲐᲐᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრაცია ყაზახეთის ალმაატისა და ხორვატიის ზაგრების უნივერსიტეტებთან გაცვლითი პროგრამების ამოქმედების მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებს.

გაცვლითი პროგრამები სტომატოლოგიის სპეციალობის მიმართულებით იგეგმება და ითვალისწინებს როგორც სტუდენტების, ასევე, აკადემიური პერსონალის სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო კვლევითი დანიშნულების მოკლევადიან ვიზიტებს.

„მე და ქალბატონ მანანა კალანდაძეს, რომელიც თსუ-ს ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის გამგეა, შეხვედრები გვქონდა ზაგრების უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანთან და დეკანის მოადგილესთან. ურთიერთთანამშრომლობის სურვილი ორივე მხარეს გვაქვს. ამ დროისთვის მიმდინარეობს დეტალების დაზუსტება და ტექნიკური საკითხების მოგვარების პროცესი. ზაგრების უნივერსიტეტს სტომატოლოგიის სწავლების დიდი ტრადიცია აქვს. ჩვენ დავათვალიერეთ მათი კლინიკური ბაზები, ვნახეთ, რომ პრეკლინიკური და კლინიკური სწავლება უახლესი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. სამწუხაროდ, პრეკლინიკურ დონეზე გარკვეული სიახლეები ჯერ ჩვენთან არ დანერგილა და იმედი მაქვს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ამ საკითხსაც მოვაგვარებთ.

ალმაატის უნივერსიტეტში ჩემი ვიზიტი გასული წლის მიწურულს განხორციელდა. წავიკითხე ორკვირიანი სალექციო კურსი თემაზე – „დენტალური იმპლანტოლოგია, როგორც პაციენტის ორთოპედიული რეაბილიტაციის თანამედროვე მეთოდი“. ასევე, ვმონაწილეობდი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაში ყბა-სახის ქირურგიისა და დენტალური იმპლანტოლოგიის პრობლემების შესახებ. ლექციებს ესწრებოდნენ სტუდენტები, რეზიდენტები, დოქტორანტები და აკადემიური წრის წარმომადგენლები. ვიზიტის დროს ალმაატის უნივერსიტეტის დეკანმა ურთიერთთანამშრომლობა შემოგვთავაზა, უკვე შევთანხმდით ერთობლივი კვლევების დაწყების თაობაზე და მიმდინარეობს მოლაპარაკებები გაცვლითი პროგრამების ამოქმედების საკითხებზე. ვფიქრობ, რომ 2023 წლის ბოლომდე ჩვენ გარკვეული შედეგები უკვე გვექნება“, – განაცხადა თსუ-ს პროფესორმა, მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სტომატოლოგიაში ორი – ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამა ხორციელდება. ორივე პროგრამამ, 2019 წელს, უპირობო, 7 წლიანი აკრედიტაცია მიიღო.

> ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲗᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲕᲘᲖᲘᲢᲔᲑᲡ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲡᲢᲝᲛᲐᲢᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲯᲣᲚᲘᲐ

სტომატოლოგიის საფუძვლები (Essentials of Dental Medicine) – ასე ქვია წიგნს, რომელიც სტომატოლოგიურ თემებსა და მიმართულებებს მიმოიხილავს. მასში მოკლედ არის შეჯამებული ყველა სტომატოლოგიური ასპექტის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რათა მედიცინის და სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტები გაეცნონ სტომატოლოგიას, როგორც საგანს.

წიგნის თანაავტორები 23 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად არიან თსუ-ს პროფესორი ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილი და თსუ-ს კურსდამთავრებული მარიამ მარგველაშვილი. ამდენად, წიგნი წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს მრავალ ავტორსა და ქვეყანას შორის და, როგორც ყველა საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი, მნიშვნელოვანია თანამშრომლობისათვის.

აქამდე არასდროს გამოცემულა წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იქნებოდა სტომატოლოგიის ყველა სპეციალიზაცია. მასში ლაკონურად წარმოდგენილი თემატიკა საინტერესო იქნება როგორც მედიცინის მიმართულების სტუდენტებისათვის, ასევე, სტომატოლოგიაში დამწყები კურსელებისათვის, რომლებიც საგანს სიღრმისეულად შეისწავლიან.

მარიამ მარგველაშვილი და ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილი



წიგნის პრეზენტაცია გასული წლის ნოემბერში ქალაქ ზაგრებში შედგა.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ

თსუ-ს ქიმიის დეპარტამენტის ბაკალავრიატის მე-8 სემესტრის სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკა სხვადასხვა დიდ კომპანიაში გრძელდება.

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთან ელიზა მარქარაშვილთან ერთად სტუდენტებმა მოინახულეს ის კომპანიები, რომელშიც პრაქტიკას გაივლიან.

სტუდენტები საწარმოს ისტორიას, ტექნოლოგიურ პროცესებს, წარმოების პროდუქტებს, მათი შეფუთვის საშუალებებს, აგრეთვე წარმოების უსაფრთხოების წესებსა და ეთიკის ნორმებს გაეცნობიან შემდეგ ობიექტებზე: ზედაზენი — Zedazeni, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი • Georgian Water and Power, ავერსი რაციონალი (Aversi Rational), საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორია, Coca-Cola Bottlers Georgia, Global Beer Georgia Geostyle • ჯეოსტილი, გარემოს ეროვნული სააგენტო სპექტრა გეზის ჯორჯია, კომპანია „ჰენკელ ბილდინგ ქემიკალს ჯორჯია“.

3 წლის განმავლობაში 50-ზე მეტი სტუდენტი ამ კომპანიებში საწარმოო პრაქტიკის და სტაჟირების გავლის შემდეგ დასაქმდა.

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ

ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ �გᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲞᲘ�გᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ �პᲐᲚᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲗ �გᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲣᲚᲘ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ, ᲨᲔᲣᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ



ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲝ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲘᲐ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲝᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲔᲯᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲡ ᲣᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ.

�გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ 1954 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. 1976 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ. 1980 ᲬᲔᲚᲡ �გᲐᲮᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲮᲝᲚᲝ 1999 ᲬᲔᲚᲡ – ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲙᲢᲝᲠᲘ.

1976 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐ�წᲔᲠᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲛᲪᲝᲓᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲐᲓ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ გᲘᲝᲠᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲛᲔ�გᲝᲑᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ – ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲛᲨᲕᲘᲓᲘ, ᲒᲐᲬᲝᲜᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲖᲝ�გᲯᲔᲠ ᲔᲛᲝᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲡᲐᲕᲡᲔ – ᲐᲡᲔ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ �გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘᲡ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ �გᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲕᲐᲟᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲠᲝ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲣᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲘᲐ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲝᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲕᲘᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲔᲯᲓᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲐᲠᲘᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲡ ᲣᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ 1954 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. 1976 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ. 1980 ᲬᲔᲚᲡ �გᲐᲮᲓᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲮᲝᲚᲝ 1999 ᲬᲔᲚᲡ – ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲙᲢᲝᲠᲘ.

1976 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ გᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲗᲮᲛᲔᲖᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐ�წᲔᲠᲗᲐ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲗᲛᲪᲝᲓᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲐᲓ,

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲛᲐᲠᲘᲯᲐ ᲯᲘᲥᲘᲐ

ᲛᲫᲐᲤᲠᲐᲓ ᲒᲕᲘᲢᲔᲕᲡ ᲛᲬᲐᲠᲔ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲐ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ...

ᲕᲔᲠ ᲕᲔᲠᲒᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲘᲡᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲝ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝ�გᲘᲐᲖᲔ �გᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲛᲔᲪᲜᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ; ᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲘᲒᲘ ᲯᲔᲠᲝᲕᲜᲐᲓ ᲐᲛ ᲠᲐᲙᲣᲠᲡᲨᲘᲪ ᲘᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲐᲓ ᲐᲮᲛᲝᲕᲐᲜᲔᲑᲡ.

ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲛᲘᲡ ᲩᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲢᲔᲮ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲘᲓᲔ�გᲐᲜᲝᲓ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲜᲔᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲛᲝᲗᲕᲘᲤᲠᲐ ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲜᲑᲐᲜᲖᲔ...

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲓᲒᲐ.

ᲠᲐᲓ ᲦᲘᲠᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, 9 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲗᲐᲪᲘᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ...

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘ ᲮᲝᲛ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ �გᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲐᲓ ᲐᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲡ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘᲡ �გᲐᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ, ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, �გᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ. ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲙᲠᲔᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲖᲘᲐᲠᲘ �გᲐᲕᲮᲓᲘᲗ.

ᲣᲤᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲕᲘᲛᲝᲬᲐᲤᲐ.

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲔᲠᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲕᲐᲚᲛᲝᲰᲓᲘᲚᲘ ᲪᲐᲗᲐ ᲡᲐᲡᲣᲤᲔᲕᲚᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲣᲓᲒᲐ.

ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲕᲐᲫᲚᲔᲑᲘᲜᲝᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲛᲐᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ. ᲛᲣᲓᲐᲛ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲕᲔᲮᲡᲝᲛᲔᲑᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲗᲐᲠᲝᲖᲔ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝ�გᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲞᲝᲡᲢᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲙᲠᲘᲢᲘᲪᲘᲖᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲐᲮᲐᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ“ – ᲐᲛ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ �გᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝ�გᲘᲡ ᲰᲐᲘᲐᲢᲔ ᲡᲝᲢᲝᲛᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ, ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ („Მ�გᲖᲐᲕᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ“, „ᲙᲐᲪᲘᲐ-ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ?!“), ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ („ᲒᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲭᲐᲛᲔᲚᲘ“) ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔᲐ Ა�გᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲐᲡᲔ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

„ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲣᲓᲔᲕᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲪᲐᲕᲘ. ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲛᲝᲘᲪᲔᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 2011 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ; ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲓᲐᲜ ᲕᲛᲣᲨᲐᲝ ᲐᲛ �თᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲐᲛ 10 ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘᲐ. ᲛᲐგᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘ – ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲬᲘᲒᲜᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ, ᲐᲜᲣ ᲐᲡᲔ ᲕᲠᲪᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ.

> ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲐᲓᲝᲥᲢᲝᲠᲝ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲘᲡ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

მე-14 გვ-დან

1991 წლიდან კი მოღვაწეობა თსუ-ში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც იკავებდა ჯერ დოცენტის, შემდგომ კი პროფესორის თანამდებობას; პარალელურად იყო საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, შემდგომ კი – ხელმძღვანელი. განათლების რეფორმის შემდგომ, 2005 წლიდან, გიორგი ოთხმეზური უცვლელად იკავებდა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის პოზიციას.

გიორგი ოთხმეზური სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აწარმოებდა. წლების განმავლობაში კითხულობდა სხვადასხვა კურსებს, მათ შორის: „საქართველოს ისტორია (ზოგადი კურსი)“; „საქართველოს ისტორია (რუსულ ენაზე)“; „საქართველოს ისტორია XV-XVIII სს“; „ქართული წყაროთმცოდნეობა“; „ქართული ეპიგრაფიკა“ და სხვ.

აქვე, აღსანიშნავია მისი ღვაწლი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში, მისი ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი.

„პროფესორი გიორგი ოთხმეზური „საქართველოს ისტორიის“ ლექციაზე გავიცანი. ეს იყო ჩვენი, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტების ძირითადი სასწავლო კურსი – პირველი საგანი, რომლითაც სწავლა დავიწყეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მახსოვს, პირველი სემესტრის პირველი ლექცია და პირველი კურსი აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ წაიყვანა, ხოლო მომდევნო სემესტრი უკვე ბატონმა გიორგიმ გააგრძელა. მშობლიური ისტორიის შუა საუკუნეების პერიოდი, რომლის შესახებაც ბატონი გიორგი ლექციას კითხულობდა, ყოველთვის გამორჩეულად მაინტერესებდა. მისი ლექცია იყო ისეთივე მშვიდი, გაწონასწორებული და მომენტებში ემოციებით აღსავსე, როგორიც თავად ბატონი გიორგი. თხრობის განსაკუთრებული, ინდივიდუალური სტილი, რომელიც გასდევდა მის ნარატივს, რთულია ოდესმე დაგავიწყდეს. ბატონი გიორგის ლექცია იყო ერთგვარი ნაზავი თავისი სამეცნიერო კვლევებისა და იმ მიღწევებისა, რომელიც ქართულმა ისტორიოგრაფიამ შექმნა კონკრეტული საკითხის შესახებ. ამგვარი მიდგომა არის ის, რაც მისაბაძია ყველა პროფესორ-მასწავლებლისთვის. ლექცია, ხომ, უპირველეს ყოვლისა, იმისთვისაა, რომ ლექტორმა საკუთარი კვლევა გააცნოს სტუდენტებს – ის, რაც თავისი შექმნილია, ორიგინალურია და გამორჩეული. სწორედ ასეთი, უნივერსიტეტის ჭეშმარიტი ლექტორი და მეცნიერი გახლდათ ბატონი გიორგი ოთხმეზური! ადამიანი, რომლის ლექცია და სამეცნიერო ნაშრომიც იყო თავისივე კვლევის, დაკვირვებისა და ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი. 2002 წლის 11 ივნისს, როდესაც სტუდენტური აკადემიური მოსწრების წიგნაკში თავისი ხელით გამიფორმა ფრიადი, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ ბატონი გიორგის კოლეგა ვიქნებოდი. 2007 წლიდან, როდესაც საქართველოს ისტორიის კათედრის ლაბორანტი გავხდი, ბატონ გიორგისთან ხშირად მქონდა შეხება, მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობა, რომელმაც წლები გასტანა და ცხოვრებაში ბევრი რამ მასწავლა“, – ასე იხსენებს პედაგოგს ისტორიის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი **ლერი თავაძე.**

გიორგი ოთხმეზური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობას იღებდა საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და ღონისძიებებში, სადაც საქართველოს ისტორიისა და ქართული მეცნიერების მიღწევებს წარმოადგენდა, მათ შორის, ხშირად, ეროვნული ინტერესების არგუმენტირებულად დაცვაც უწევდა. მისი გამოკვლევები გამოცემულია საქართველოსა და უცხოეთის არაერთ რეიტინგულ სამეცნიერო კრებულსა და პერიოდულ გამოცემაში, ნაშრომები გამოქვეყნებულია: ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე.

* * *

გიორგი ოთხმეზურის გარდაცვალება დიდი დანაკლისია, ზოგადად, ქართული მეცნიერებისთვის და კონკრეტულად საქართველოს ისტორიის მკვლევრებისთვის. აი, როგორ იხსენებს მას აკადემიკოსი **როინ მეტრეველი:**

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ

„არ შემიძლია გულისტკივილის გარეშე გავიხსენო (ეს სიტყვაც მეჩოთირება) ქართველ მეცნიერთა შორის გამოჩენილი, ღირსებით სავსე პიროვნება გიორგი ოთხმეზური – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ბატონი გიორგი ჩემი უმცროსი კოლეგა იყო და ყოველთვის კეთილი ურთიერთობა გვქონდა, როგორც საქმიანი, ისე მეგობრული. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმატებული მეცნიერი – ისტორიკოსი გახლდათ. ძირითადი საგანი მისი კვლევებისა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია იყო. სწორედ ამ პერიოდის არაერთი პრობლემა გამოიძია და თავისი ანალიზითა და სათანადო დასკვნებით მეცნიერულ სამსახურში ჩააყენა. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ეპიგრაფიკული მასალების შესწავლაში.

ხაზი უნდა გავუსვათ მის მეცნიერულ პრინციპულობას (რაც დიდი დედისგან მოსდგამდა). ეს გამოიხატებოდა ამა თუ იმ საკითხის შესწავლასთან დამოკიდებულებასა და კრიტიკულ შეფასებებში.

მნიშვნელოვანი იყო მისი საქმიანობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, სადაც იგი საქართველოს ისტორიის პრობლემების შემსწავლელი კომისიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. განსაკუთრებით მინდა გამოვყო გიორგი ოთხმეზურის წვლილი საქართველოს ისტორიის გამყალბებლებთან ბრძოლაში; იგი ყოველთვის ჭეშმარიტებას იცავდა რეალური ვითარებიდან გამომდინარე სათანადო მასალის მოხმობით. მრავალ ამგვარ გამოსვლათა შორის (პრესაში, ტელევიზიით) მეტად მნიშვნელოვანი იყო ბატონი გიორგის შემართებული ბრძოლა გარეჯის მონასტრის ისტორიის დანაშაულებრივ გამყალბებლებთან (ეს შეიძლება მისი ბოლო სატელევიზიო გამოსვლაც იყო).

ვფიქრობ, განსაკუთრებულად ხაზგასასმელია გიორგი ოთხმეზურის დამოკიდებულება დედასთან – აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძესთან. თავის მხრივ, დედამ, ოჯახმა ბევრი მისცა მეცნიერს და საოცარი იყო დედისადმი – როგორც მეცნიერისადმი, ისე პიროვნებისადმი სამაგალითო თანადგომა. მხედველობაში მაქვს ის პერიოდი, როცა ქალბატონი მარიკა სიცოცხლის ბოლო წლებში შეუძლოდ გრძნობდა თავს. გიორგი ოთხმეზური ღირსებით უმკლავდებოდა ოჯახურ ტრაგედიას – შვილისა და მეუღლის დაღუპვას. იგი ვაჟკაცურად ატარებდა ტკივილს.

არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო, რომ გიორგი ოთხმეზურს ჰყავს ღირსეული შვილი – კოტე, რომელიც მამის მეცნიერულ გზას აგრძელებს. კოტე ოთხმეზური მოკრძალებით შემოვიდა მოქმედ მეცნიერ-ისტორიკოსთა შორის, უმცროს კოლეგად მოგვევლინა და მიმაჩნია, რომ წარმატებით მოღვაწეობს.

გიორგი ოთხმეზურს თავისი მნიშვნელოვანი შემოქმედებით (მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები) ქართული საისტორიო ამქრის მოღვაწეობაში სოლიდური ადგილი უკავია. მისი ამქვეყნიდან ადრე წასვლა დიდ დანაკლისად მიიჩნია საზოგადოებამ. ერთი რამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ პროფესორი გიორგი ოთხმეზური ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის ყოველთვის ღირსეულ მეცნიერად და მოქალაქედ დარჩება“, – ასე გაიხსენა როინ მეტრეველმა კოლეგა.

* * *

გიორგი ოთხმეზურის სამეცნიერო მემკვიდრეობა მდიდარი და მრავალფეროვანია. გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე მზადების ეტაპზეა მისი შრომების ორტომეულის გამოცემა. დაწყებულია მასალების დამუშავება პირადი არქივიდან.

ორტომეულის პირველ ტომში გაერთიანებული იქნება გიორგი ოთხმეზურის შესახებ ვრცელი შესავალი ნაწილი, ნაშრომების სრული ბიბლიოგრაფია და მისი ორი დისერტაცია – „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო“ (1980. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია) და „შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII საუკუნეები)“ (1999. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული დისერტაცია). შრომების II ტომში შევა მის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემული სამეცნიერო სტატიები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა კრებულში. მათ შორის: „უხუცესი ვაზირები და მათი რიგი საქართველოში XII-XIII სს-ის მიჯნაზე (ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით), („მაცნე“. ისტორიის სერია, #1. 1979 გვ. 115-128); „ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან – ამირეჯიბი“ (თბ. 2009. A4. 67 გვ.); „Abkhazia's status as part of Geprgia: Histroical perspective“ („The Caucasus & Globalization“. Volume 4. Issue 1-2. Sweden. 2010. გვ. 178-183 (თანაავტორი მ. ლორთქიფანიძე); „ქართული პალეოგრაფია-ეპიგრაფიკა („საქართველოს ისტორიის კათედრა. 1918-2005“, თბ. 2010, გვ. 229-238); „ნიაბის წარწერები“ („თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“. ტ. II. თბ. 2011, გვ. 112-123); „თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ (რელიგიური ასპექტი)“ („საისტორიო კრებული“. I. წელიწდეული. თბ. 2011, გვ. 54-67); „დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპრაფიკული ძეგლები“ („თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება); „ დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“ (თბ. 2011, გვ. 26-38); „ბარანის ციხის წარწერის თარიღისათვის“ („საისტორიო კრებული“. 5. წელიწდეული. თბ. 2015, გვ. 201-215); „დმანისის რაიონის ეპიგრაფიკული ძეგლები“ (თბ. 2016) და სხვ.

ასევე, მეორე ტომში გამოსაცემად არის განსაზღვრული მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომებიც. ცნობილია, რომ გიორგი ოთხმეზური გარდაცვალებამდე ინტენსიურად მუშაობდა XIV საუკუნის საქართველოს ისტორიაზე, კვლევა დაასრულა, მაგრამ გამოცემა ვერ მოასწრო. ნაშრომი შეეხება თემურ ლენგის ლაშქრობების პერიოდის საქართველოს ისტორიას, კონკრეტულად კი, ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის მეფობის ხანას. გამოკვლევას თან ერთვის ვრცელი დანართი, სადაც განხილულია დასახელებული პერიოდის ისტორიული დოკუმენტები.

* * *

გიორგი ოთხმეზური, როგორც სანდო მეგობარი, დარჩა ახლობლებისა და მეგობრების ხსოვნაში. მის ღირსებებსა და ადამიანური თანალმობის გასაოცარ უნარზე საუბრობს ყველა, ვისთანაც კი შეხება ჰქონია. ამ დიდ ადამიანს შეეძლო ყოფილიყო შეუვალი მეომარიც და თანამგრძნობი მეგობარიც.

„გიორგი ჩემთვის ძალიან ახლობელი პიროვნება იყო – ჩვენი მშობლები ჯერ კიდევ ბავშვობიდან მეგობრობდნენ და მეამაყება, რომ ეს ურთიერთობა ჩვენით გაგრძელდა. ის იყო ბრწყინვალე პიროვნება და მეცნიერი და, რაც მთავარია, ყველაფერში ჰქონდა თავისი ძალიან მყარი პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ უზარმაზარი ტრაგედია გადაიტანა, გიორგი მუდმივად ცდილობდა, ეს არ შეემჩნია სამეგობროში – ჩვენთან ურთიერთობაში ის არაჩვეულებრივად თბილი და ლაღი იყო. საზოგადოებამ იცის, რომ სამეფო ოჯახმა, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დააარსა ერეკლე მეორეს ორდენი, რომელიც, ჩვენ, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მის ძმას – დავითს გადავეცით დარეჯანის სასახლეში. ამით მინდოდა დიდი პატივისცემა გამომეხატა ბატონი გიორგის მიმართ. მასთან ყოფნა ძალიან დიდი ბედნიერება და სიამოვნება იყო“, – გვითხრა გიორგი ოთხმეზურის მეგობარმა, რეჟისორმა **ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკიმ.**

გადის წლები. მიდიან დიდი ადამიანები. გიორგიმ ოთხმეზური კი, როგორც მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ერთი ძალიან კარგი ადამიანი, მუდმივად ცოცხლობს.

ასეც უნდა იყოს. სიკვდილი ხომ დროებითი მოვლენაა – ცოცხლობ მანამ, სანამ ახსოვხართ...

თამარ ქარაია: მეცნიერება ქალის საქმეა!

მაია ტორაძე

11 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, მეცნიერ ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის ქალი მეცნიერები უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვა. დაჯილდოებულთა შორის იყო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA) აღმასრულებელი დირექტორი თამარ ქარაია.

„იმ დღის შემდეგ ვფიქრობ და ვცდილობ, გავაკეთო ყველაფერი, რაც შემიძლია, რომ გოგონებსაც და ბიჭებსაც მიეცეთ შესაძლებლობა – ფორმალური თუ არაფორმალური განათლების დონეზე ისწავლონ და თავად გააკეთონ არჩევანი. ამ შესაძლებლობების შექმნა მგონია ჩემი და ჩემი კოლეგების უმთავრესი საქმე უნივერსიტეტშიც და მის გარეთაც“, – წერდა მეორე დღეს თამარი სოციალურ ქსელში. მერე კი, უნივერსიტეტში გამართულ ძალზე საინტერესო ტრენინგზე, იხსენებდა: „ერთ-ერთ სკოლაში ყოფნისას პატარა გოგონამ მითხრა, ვეტერინარობა მინდა და თუ ადრე არ გავთხოვდი, ვისწავლი ან, გათხოვებამაც რომ მომიწიოს, მაინც წავალ თბილისშიო. იქვე მჯდომმა თანაკლასელმა ჰკითხა, თბილისში ქმარმა რომ არ გაგიშვასო? პასუხი იყო – მამაჩემი ისეთს არ მიმათხოვებს, რომ არ მასწავლოსო. ამ გოგონამ განათლების უფლება უნდა მოიპოვოს, მსგავსად არაერთი ათასი მოზარდისა“, – თქვა მაშინ თამარმა და მეცნიერ ქალთა და გოგონათა დღის აღნიშვნის მიზეზი და მიზანიც თავისთავად გამოიკვეთა მათთვის, ვისაც ეს თარიღი ევროპული ღირებულებების უბრალო ადევნება ჰგონია: „უნივერსიტეტში და, ზოგადად, მეცნიერებაში მყოფი გოგონების და ქალების პასუხისმგებლობაა, რომ დაეხმარონ იმ გოგონებს, ვისაც უწევთ დამტკიცება, რომ მათაც აქვთ განათლების უფლება. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, ვიდრე კვლევა ან სწავლება“.

* * *

თამარ ქარაია მასწავლებლების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. დაასრულა ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს საშუალო სკოლა და, როგორც ყველა, ისიც დილემის წინაშე დადგა – რა პროფესია აერჩია. რადგან ყველა საგანს ერთნაირად კარგად სწავლობდა, არჩევანიც დიდი ჰქონდა. მშობლები ხან სამედიცინოს ურჩევდნენ, ხან ეკონომიკის შესწავლას, მას კი რაღაც სხვა უნდოდა, სპეციალობა, რომელიც ინტერესს გაუჩენდა და შეუყვარდებოდა.

ღირებულებებს ლიტერატურაში ეძებდა და პოულობდა. ამაში მშობლების წიგნისადმი სიყვარულიც დაეხმარა და ის დროც, როცა ანთებულ ლამპართან ჯდომა და კითხვა ერთადერთი საინტერესო საქმიანობა იყო – არც შუქი გვქონდა, არც კომპიუტერი და არც ათასგვარი გასართობი, სამაგიეროდ, იყო ფიქრი, ოცნება და საკუთარ თავში იმ გასაღების ძიება, რომელიც დამოუკიდებლობაში ახალფეხადგმულ ქვეყანას რაღაცნაირად წაადგებოდა. ოჯახს ბევრ რამეს უმადლის, მათ შორის იმასაც, რომ არასოდეს არავის შეუზღუდავს, არც არაფერი დაუძალებიათ და არც მის გადაწყვეტილებაში ჩარეულან.

პროფესია შემთხვევით აირჩია – ერთხელ გაიგონა, რომ ახლობელი თსუ-ში პოლიტოლოგიაზე სწავლობდა და გადაწყვიტა, თავადაც ამ გზას დადგომოდა, თუმცა კარგად არ ესმოდა, რა უნდა ესწავლა და რა უნდა „გამოსულიყო“, უბრალოდ ახალი იყო, საინტერესო და ახლოს იდგა მისი მომავლის ის-ის იყო გამოკვეთილ კონტურებთან. ახლა იხსენებს, რომ სკოლაშივე ძალიან უყვარდა საგანი „საზოგადოება“. ხშირად აანალიზებდა მოვლენებს და ცდილობდა მათ შორის კავშირის მოძებნას.

თამარი საუბარში ხშირად ახსენებს, რომ რაღაც-რაღაცებში გაუმართლა. მაგალითად, გაუმართლა იმაში, რომ სპეციალობა სწორად შეარჩია, რადგან უნივერსიტეტმა ბევრი შესაძლებლობა მისცა; გაუმართლა ლექტორებშიც, რომლებიც, თუ ხედავდნენ, რომ ინიციატივა გქონდა და მიზანდასახული იყავი, გეხმარებოდნენ; გაუმართლა, რომ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტში მოხვდა და პოლიტიკური მოვლენების გაანალიზების შესაძლებლობა მიეცა, სწორედ იქ გაუჩნდა სამეცნიერო ინტერესები და საკვლევი თემაც სწორად შეარჩია: „მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში (საბჭოთა კავშირის გააზრება ვარდების რევოლუციის შემდეგ)“. სადისერტაციო თემაში აქტუალური საკითხები განიხილა – როგორ იაზრებს ხელისუფლება მეხსიერების პოლიტიკას და როგორ იცვლება გააზრების პროცესი. ამბობს, რომ ეს თემა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების დროს „იპოვა“ და ამაში ბატონმა მალხაზ მაცაბერიძემაც ითამაშა დიდი როლი: „დისერტაცია 2016 წელს დავიცავი და მაშინ ეს საკითხი აქტუალური იყო – მასში ვხსნიდი, როგორ უნდა გამოიყენო წარსული, რომ დღევანდელობა დაიგეგმოს“, – ამბობს იგი.

დღეს თამარ ქარაიას სამეცნიერო ინტერესები ფართოა და შეეხება მეხსიერების პოლიტიკას, დემოკრატიისა და საზოგადოების განვითარების კვლევას, სოციალურ მოძრაობებს, სამოქალაქო განათლებას; აქვს მიმდინარე კვლევითი პროექტები, აქტიურად აქვეყნებს პუბლიკაციებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში, არის თანაავტორი სამოქალაქო განათლების რამდენიმე სახელმძღვანელოსა და მასწავლებელთა გზამკვლევისა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში სამოქალაქო განათლების სასწავლო მასალად გამოიყენება.

კვლევებსა და პროექტებში, რომელსაც თამარ ქარაია სტუდენტებთან ერთად ახორციელებს, ჩანს მისი ძალისხმევა სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებისათვის. სტუდენტებმაც იციან, რომ მასთან საგნის გავლა ნიშნავს აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა პროექტში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვასა და მათთვის სათანადო გარემოს შექმნაზეა ორიენტირებული.

სამოქალაქო განათლებით დაინტერესებას პატარა ისტორიაც უძღვის წინ: 2014 წელს USAD-მა ჩაატარა უმაღლესი სასწავლებლების კურიკულუმების კვლევა – აინტერესებდათ, როგორ იყო გადანაწილებული პროგრამაში სამოქალაქო განათლების საკითხები. კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთ მიმართულებაზე ეს საკითხები ისწავლება, თუმცა – არასაკმარისად. ამიტომაც მათ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) ერთად, უნივერსიტეტს შესთავაზეს – ჩაერთოთ კურიკულუმში კურსი „დემოკრატია და მოქალაქეობა“. სწორედ ამ ეტაპზე – ანუ დასაწყისიდანვე ჩაერთო თამარ ქარაია პროექტში და ფიქრობს, რომ აქაც სწორი არჩევანი გააკეთა, რადგან ამ კურსში, სწავლების პარალელურად, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ – თავად აღმოაჩინონ საკუთარი თავი, იპოვონ პრობლემა, დაგეგმონ და განახორციელოს პროექტები.

თამარ ქარაია დღეს სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის (CELA) აღმასრულებელი დირექტორია. ასოციაცია, არაფორმალური განათლების ფორმატით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ახალგაზრდებს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების საშუალებას აძლევს და ამაში თსუ-ს სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი: „ამ ორგანიზაციის დახმარებით ვცდილობ – სტუდენტი გავიყვანო უნივერსიტეტს გარეთ და პრაქტიკულად ვაკეთებინო საქმე. საგნის „დემოკრატია და მოქალაქეობა“ ფარგლებში, თსუ სოცპოლის სტუდენტებმა არაერთი პროექტი განახორციელეს. მაგალითად მოვიყვან 2016 წელს განხორციელებულ პროექტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა აღმოაჩინეს, რომ № 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლა-პანსიონის კურსდამთავრებულები დიდი დილემის წინაშე დგანან – არ იციან, რა გააკეთონ, სად ისწავლონ სკოლის დასრულების შემდეგ. სტუდენტებს მოუნდათ, რამით დახმარებოდნენ უსინათლო და მცირედმხედველ ახალგაზრდებს და მოიფიქრეს – ჩაწერეს ხმოვანი სახელმძღვანელოები, რომელიც შემდეგ აუდიოწიგნად გამოიცა“, – გვიყვება თამარი. მისი აზრით, ეს პროექტები ააქტიურებს ახალგაზრდას, აცნობს სხვა რეგიონის სტუდენტებს და ახალგაზრდებს და აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ლექციაზე მისვლა. ეს ნაპერწკალი, რომელსაც იგი თსუ-ს სოცპოლის პოლიტიკის მეცნიერებების სტუდენტებში აღვივებს, მისი აზრით, აუცილებლად გარდაიქმნება სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების პროცესში და მაგალითი გახდება ყველასთვის, როგორ უნდა იზრუნონ თავად ქვეყნის აღმშენებლობისთვის, საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

როცა უკვე განხორციელებულ პროექტებზე საუბრობს, თამარ ქარაია განსაკუთრებით გამოყოფს პროექტს, რომლის ფარგლებშიც თბილისში ჩამოიყვანეს ახალგაზრდები, რომელთა შორის უმეტესობა გალის რაიონიდან იყო. „ამ აქტივობებით სტუდენტებს დავანახეთ – რა რესურსები აქვთ, თუ ისინი გადაწყვეტენ, რომ უნივერსიტეტის მიღმა გავიდნენ და მოახდინონ საკუთარი თავისი რეალიზება“, – ამბობს თამარი.

ასე – დღითიდღე იზრდება საქმიანობის არეალი, თუმცა, უნივერსიტეტის მედლის მიღების შემდეგ დიდხანს ფიქრობდა – რით დაიმსახურა ასეთი მაღალი შეფასება? ახლა ამბობს, რომ ეს მხოლოდ მისი დამსახურება არაა და აქ აუცილებლად უნდა ითქვას კოლეგებისა და იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც მთელი არსებით არიან ჩართულნი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების პროცესში, მხარს უჭერენ მის წამოწყებას და ერთვებიან მასში...

თუმცა მთავარი კიდევ სხვაა – თამარ ქარაიამ იცის, რომ მედლის მიღება და მეცნიერ ქალთა და გოგონათა დღის აღნიშვნა იმიტომ კი არაა მნიშვნელოვანი, რომ ქალები რაღაცით გამოირჩევიან, იმიტომ, რომ აჩვენონ სხვა ქალებს – მეცნიერება ქალის საქმეა!

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ეკა ბედიაშვილი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
თორნიკე ჩხეტიანი
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
მიხეილ თვარაძე

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
მანანა შამილიშვილი,
იაგო კაჭკაჭიშვილი,
ირმა რატიანი,
ირინე დარჩია,
ვლადიმერ პაპავა,
ეთერ ხარაიშვილი,
ეკატერინე ფირცხალავა,
ნინო გაჩეჩილაძე,
თემურ ნადარეიშვილი,
ლელა ჯანაშვილი,
მაია ივანიძე,
მამუკა მარგველაშვილი,
გია ლობჟანიძე,
ნინო უგრეხელიძე,
მარინა სალუქვაძე

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
tsu.media

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
nino.kakulia@tsu.ge

2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „უნი-ვერსია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რასაც საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).